

1934

საბავშვო  
საგანძურა

# სამგზავრო



სამგზავრო  
7-8

# „კომუნარი“

საქართველოს ბ. კ. მ. ცენტრალური  
ბიუროს და განათლების სახალხო კომ-  
მისარიატის შურონალი ბავშვთათვის.

№ 7-8

ივლისი — აგვისტო

ფელიწადი  
IX

1934

ფელიწადი  
IX

რედაქციის მისამართი: აღმასკომის  
ქუჩა, № 7. სახელგამი, საბავშვო და  
ახალგაზრდობის სექტორი

## შინაარსი

	83-
1. მაშა გვინახულებს, — გ. კაშკხიძისა . . . . .	1
2. პიონერები ამხ. ლავრეტი ბერიასთან . . . . .	1
3. ხელოვნების ოლიმპიადა, — ს. ხიდისთაველისა . . . . .	2
4. ქუტუნა გოლიაძე, — ლავრ. ჭიჭინაძისა . . . . .	3
5. დამკვერთ გოგი, — არ. აკოპოვისა . . . . .	7
6. გმირი ბავშვი, — მ. ებრაღიძისა . . . . .	8
7. ჩამორჩენილის იმედი, — ი. ქარელიშვილისა . . . . .	9
8. პატარა მშენებლები, — ცქვიტისა . . . . .	10
9. ლექსი, — ქ. მღვიმელისა . . . . .	13
10. ბერკეტი (რეინიდან) მთარგ. შ. თაბუკაშვილი . . . . .	14
11. ნაძვის ტყეებში, — გ. კაქაბიძისა . . . . .	18
12. აიშე, — პ. ლორიასი . . . . .	18
13. ორი ბაყაყი, — მ. უზნაძისა . . . . .	22
14. ვანო და ზაქრო, — ნ. ტყეშელაშვილისა . . . . .	23
15. ბანაკი, — მ. მ—ძე . . . . .	25
16. წვეტიანი ჯადოქარი, — ი. გოგიასი . . . . .	25
17. ახალი ციმბირი, — გ. მან . . . . .	26
18. სიხარულისა და სიცილის სპექტაკლი, — ანლანისა . . . . .	28
19. ივლისის მზეზე, — გ. კალანდაძისა . . . . .	30
20. ტანგრამები, — ნ. ნაკაშიძისა . . . . .	30
21. მისობა (ნოტები) . . . . .	32
22. ახალი წიგნები, — მკითხველისა . . . . .	ყდაზე

პ/მგ. რედაქტორი: აკაკი რეზინაშვილი.      პ/მგ. მდივანი: ლავრ. ჭიჭინაძე

# მამა გვინახულებს

მთიდან ნისლი,  
 თეთრი ნისლი  
 ეფინება ბუჩქებს ნამად...  
 არ ვწყინდები, მაგრამ მაინც  
 მენატრება ხშირად მამა.  
 მინდა იგიც ჩვენთან ერთად  
 დადიოდეს ტყეში დილით,  
 ჰქონდეს ჩემებრ სიხარული  
 და ოცნებაც ჩემებრ ტკბილი.  
 ძლიერ მინდა, ამ სიცხეში  
 დააღწიოს თავი ტფილისს...  
 აქ რომ იყოს, მოისვენებს,  
 მოილხენს და ტყეშიც ივლის.  
 შორს რომ არის, დამაჩვია  
 ბარათების ხშირად კითხვას.

წუხელ, ტკბილად საუბრის დროს,  
 ჩამოვაო, დედამ მითხრა.  
 — ინახულებს ცემს და წალვერს,  
 დაგვივიწყებს, ბიჭო, განა?!  
 რომ დაგპირდა, სიტყვისამებრ  
 თან მოგიტანს წიგნს და გამაკს.  
 გამეხარდა. თქმული მჯერა,  
 გვინახულებს მალე მამა,  
 თან მოიტანს ხელუხლებელ  
 ლამაზ წიგნებს, გამძლე გამაკს.  
 მოგვიყვება მრავალ ამბავს,  
 გადაგვიშლის თვალწინ ტფილისს.  
 ჩვენთან ერთად მოისვენებს,  
 მოილხენს და ტყეშიც ივლის.

## პიონერები ამხ. ლავრენტი ბერიასთან

სტალინის სახელობის, განსახკომის პირ-  
 ველი სანიმუშო საშუალო სკოლის დამ-  
 კვრელმა მოსწავლე პიონერებმა გადაწ-  
 ყვიტეს ენახათ ამიერკავკასიის ბოლშე-  
 ვიკების ხელმძღვანელი ამხ. ლავრენტი  
 ბერია და მისთვის გადაეცათ სკოლის  
 მიღწევები და სიძნელენი.

დამკვრელი პიონერები არ შემოიფარ-  
 გლნენ თავისი სკოლის საკითხებით, მათ  
 დასვეს ყველა მოსწავლისა და პიონერი-  
 სთვის საინტერესო საკითხებიც.

4 ივნისს ამხ. ლ. ბერიამ მიიღო 12 დამ-  
 კვრელი პიონერი.

### პატაკი

დამკვრელმა პიონერმა სალარიძემ უპა-  
 ტაკა ამხ. ლ. ბერიას:

„ძვირფასო ლავრენტი პავლეს ძე! ჩვენ  
 სკოლაში 600 მოწაფეა. ჩვენ არასოდეს  
 არ ვსწავლობდით ისე კარგად, როგორც  
 ახლა.“

ჩემი ამხანაგების ნახევარზე მეტი ფრიად  
 დამაკმაყოფილებლად სწავლობს. მთელ  
 სკოლაში ორი ათეული არადამაკმაყოფი-  
 ლებლად სწავლობს. ჩვენ წინ ვწევთ ჩა-  
 მორჩენილებს, ვეხმარებით მათ და ვკის-  
 რულობთ დავამთავროთ სასწავლო  
 წელი წარმატებით.

### ნორჩი ეთუჟიასტავი მოითხოვან:

გამოშვებულ იქნას საინტერესო წიგ-  
 ნები საკმაო რაოდენობით; ბავშვებისთვ-  
 ის მაღალხარისხიანი ლიტერატურის შე-  
 ქმნაში ჩაბმულ იქნან საუკეთესო მწერ-

6571

ლები (ისინი არ უნდა თავიდან ავიცილოდნ ბავშვებისათვის წერას), მოეწყოს სკოლები-სათვის საჭირო პოლიტექნიკური მოწყობილობის წარმოება. მომარაგებულ იქნას სკოლები საუკეთესო გეოგრაფიული რუკებით და ისტორიული ლიტერატურით; მოითხოვენ მოსწავლეთა გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომ გამტკიცებას, პირველი სკოლის შენობის გაფართოვებას...

## გოლშევიკური პასუხი

ამხ. ლ. ბერიამ დაწვრილებით განიხილა სწავლების დამკვრელთა თხოვნა. მათი შესრულება ამხ. ლ. ბერიამ დააკისრა ამხნაგებს, რომლებიც დაესწრენ საუბარს: საქ. განათლების სახალხო კომისარს ამხ. აკ. თათარიშვილს, პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. სტურუას, ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ. კუჭაიძეს და საქ. ახალგ. ლენ. კ. კ. ცეკას მდივანს ამხ. გიორგობიანს.

ამხ. ლ. ბერიამ განაცხადა, რომ 1935 წელს დაიწყება პიონერთა სასახლის მშენებლობა. ეს იქნება ახალთაობის კომუნისტურად აღზრდის უდიდესი კერათაგანი: ის ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებას, ბავშვებისთვის კულტურულად დასვენებას და ფიზიკურად გაჯანსაღებას.

მიმდინარე ზაფხულში სწავლების საუკეთესო დამკვრელები გაემგზავრებიან კურორტებსა და პიონერთა ბანაკებაში. 1935 წელს დაიწყება სკოლა-სანატორიუმის აშენება.

1934-35 სასწავლო წლისათვის გაფართოვდება პირველი სკოლის ახლანდელი შენობა; ამასთანავე 1935 წელს დაიწყება სკოლის სანიმუშო შენობის აგება.

პოლიტექნიკური მოწყობილობის დასამზადებლად განსაკვირვებულად გადაეცემა კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სახელოსნოები.

## როგორ მუშაობს სტალინი, რა ამგომარეობაშია ტელეფონი?

აი რა კითხვები აინტერესებთ ბავშვებს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ,

ამხ. ლ. ბერიამ შეკითხვები მისცა პიონერებს სკოლის ცხოვრებისა და სწავლების სხვადასხვა მხარეების შესახებ.

დასასრულ ამხ. ლ. ბერიამ პიონერებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— სკოლებში მეცადინეობა ამ დღეებში მთავრდება. უკვე ახლაც შეიძლება იმის თქმა, რომ უმრავლესობა თქვენს შორის კარგად სწავლობდა, უფრო უკეთ, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ საჭიროა უფრო კარგად სწავლა. თქვენ დაიმსახურეთ კარგი დასვენება და ამას უზრუნველყოფთ, მაგრამ ზაფხულში ხელიდან არ გავუშვათ წიგნები, რომ არ დაკარგოთ დაგროვილი ცოდნა, ხშირად ჩაიხედეთ შიგ.

ამხ. ლ. ბერიამ უსურვა პიონერებს მხიარულად და კარგად გაატარონ ზაფხული, გამაგრდენ და წარმატებით მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის.

საქ. ცეკამ და საქ. სახკომსაბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის შესახებ.

## ს. სიღისთავალი

### ხელოვნების ოლიმპიადა

მრავალი ტომის, მოდემისა, სხვადასხვა ერის შვილები, კოლექტიური ყოფისა სხივმფენი თაიგულები სიცილ-თამაშით, ზეიმით, აზვირთებული განცდებით, ზურნის, დაფის და ქამანჩის წკრიალა ხმებით, ალგზნებით, მოედვენ ქუჩებს, თეატრებს, მოედვენ გამძლე ძალები... უცქერით სანახაობას, ხალისს აფრქვევენ თვალები, რომ ცეცხლოვანი გულებით შვილნი სხვადასხვა ტომისა ქმნიან საბჭოთა კულტურას პროლეტარული შრომისა.

# ჟუტუნა გოლიაძე

## I

მდინარე ხევა გორაკებს შორის მოდის, ქვებზე ჩქაფუნით მოლიკლიკებს, მაგრამ მისი ლიკლიკი მის წიაღშივე ინთქმება, რადგან ირგვლივ უფრო მეტი ხმაურია.

ზაფხულში სიცხისაგან შეოსებული ჩიტები ჩრდილს შეფარებოდნენ და ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ.

კუდმაკრატელა მერცხლები ელვის სისწრაფით დანავარდობდნენ მდინარე ხევაზე. ისინი ანკარა ხევას ეალერსებოდნენ, ხან ისე გაეწვნოდნენ მის ზედაპირს, რომ მათი ფრთები თითქოს წყალს ჰკოცნიდა და მერე ისევ მაღლა შეისრიალებდნენ. ზოგი მერცხლები ფრენით დაღლილიყვნენ და ხევაზე გადმოწვდილ ხის ხმელ კენწეროვებზე ისხდნენ.

მდინარეს მარჯვნივ და მარცხნივ ხან სიბი კლდეები მოსდევს, ხან ხავერდით მწვანე მინდვრები.

გასცდება თუ არა მთებს, კლდეებსა და გორაკებს, ხევა მერე დინჯად გაწვება ატეხილ თვალუწვდენ ქალებში. კარგი სანახავია ის მაშინ, ვერცხლის ქამარივით მოლივლივ.

სოფლის გლეხები თავს ბედნიერად თვლიან, რომ მათ სოფელს მდინარე ჩამოუდის.

ბავშვების სიხარულს ხომ საზღვარი არა აქვს.

ისინი ხევას ტალღებში დღეში რამდენჯერმე შეცურდებიან. იქაური ბავშვები ცურვის ოსტატები არიან. ისინი ერთგან რომ თავს ჩაყოფენ, მერე სადღაც შორს ამოხტებიან, სახეზე ორივე ხელს ჩამოისვამენ და სიცილში შერეული ხმით დაიძახებენ:

— აი ვინ იბიჭებს და ვინ გაცურავს ჩემდენს?

— მე... მე — უპასუხებს რამდენიმე ბიჭი და მერე თვითონ ჩაიყურყუმალებენ.

დიდ კისკისი და ჟრიამული არის ხოლმე ყოველ ზაფხულობით მდინარე ხევაში.

კოლმეურნე გლეხის ბავშვებს დღიური გეგმა აქვთ შედგენილი.

მათ გეგმაში ცოტა რამ წერია. მთელი დღე სამ ნაწილად აქვთ გაყოფილი: დილა, შუადღე და საღამო. წინასწარ იციან დღის თითოეულ ნაწილში რა სამუშაო უნდა შეასრულონ.

მამები, რომ შრომობენ, შვილებიც ერთ-ერთ მათ საქმიანობაში. ამ მხრივ მთელ კოლექტივში ყველაზე უფრო გამოსარჩევი ბიჭია ჟუტუნა გოლიაძე.

იგი კოლმეურნე ბავშვების ხელმძღვანელია.

ზაფხულობით, როცა არემარე პაპანაქება სიცხეშია გახვეული, მაშინ პატარა ჟუტუნა თავის ამხანაგებით დილასა და საღამოს საქონელს მწყესავენ. მათი მიზანია, რომ კოლექტივს მსუქანი ხარი, ძროხა და ხბო ეყოლოს. ისინი კარგად უვლიან საქონელს. შუადღისას მათი გეგმა ხევაში ბანაობას ითვალისწინებს.

ჟუტუნა გეგმის პირნათლად შემსრულებელი ბიჭია.

ის პირუტყვებს საკუთარ ძმასავით უვლის. ერთხელ თავის ბიძაშვილს მთელი ალიაქოთი აუტეხა.

მზე საშუადღოზე აღიოდა.

პატარა მწყემსები პირუტყვებს შინისკენ მირეკავდნენ.

— შენ, ჩემო ძმაო, ხბო ქე გაგიძლია, მარა ასე რავა შეიძლება?!

— რავა, ბიჭო? — გაკვირვებით შეუბრუნა სიტყვა ჟუტუნას თავისმა ბიძაშვილმა.

დაბანა უნდა, ძმაო, დაბანა! — მიახალა პასუხი ჟუტუნამ.



— მართალია, მართალი...

მიდიოდა ზაფხულის დღეები... ღამე მშვიდად და მძიმედ შემოაბიჯებდა ხოლმე სოფელში. შრომით მოქანცული გლეხები ადრე ჩაიძინებდნენ. ღუმელში შესულ სოფელს მხოლოდ ბუღბუღლის საამური სტვენა და მდინარე ხევას ჩქრიალილა ესმოდა.

ეს ხმები ძილში შესულ სოფელს ნანი-ნასავით ესმის.

ღილით აღარც ბუღბუღლი სტვენს და აღარც ხევას თამამი ლიკლიკია შესამჩნევი.

## II

ზაფხულის დილა გათენდა.

ხეები, ბუჩქები და ბალახები ღამის ცვრით იყო დანამული. სუფთა, გამჭვირვალე წვეთები პატარა ბავშვის ცრემლებით ეკიდა მცენარეთა ფოთლებზე. დილა ახლადგადვიძებული ხმაურით მოვიდა. მდინარის ლიკლიკი და ბუღბუღლის სტვენა დღის ყრიამულმა შთანთქა.

უფროსებმა თავიანთ სამუშაოს მიაშურეს.

ბრიგადის ხელმძღვანელმა წინა დღის საღამოზე გამოაცხადა მომავალი დღის სამუშაო. ისინი ღილით ადრე შეიკრიბნენ და სიმღერით გაეშურნენ სამუშაოზე.

ბავშვები უცქეროდნენ უფროსების შეთანხმებულ მუშაობას და ისინიც მათ ბაძავდნენ.

ჟუტუნა თავის ტოლ ბიჭებში პირველი იყო, რომელმაც ყველაზე უწინ წამოაყენა ბავშვთა შორის ბრიგადის მოწყობის საკითხი.

გოლიაძემ შეკრიბა ამხანაგები და გამოუცხადა:

— ამხანაგებო, მართალია, ჩვენ პატარები ვართ, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენც უფროსებივით ჩამოვაყალიბოთ და ჩვენი შესაფერისი საქმეები ვაკეთოთ?

— კი, ძმაო, — უპასუხა ერთმა.

— ბიჭო, მართლა კაი იქნება...

— იცი, ჟუტუნა, მოდი, ამ საქმის გაკეთება შენ ითავე, — მიმართა ჟუტუნას თავისმა ბიძაშვილმა, რომელიც ახალი ბრიგადის მოწყობის სურვილით იყო აღფრთოვანებული.

— სულ ადვილი სამსახურია, — საქმიანი კაცის გამომეტყველებით უპასუხა გოლიაძემ ამხანაგებს.

მან კარგად იცოდა, უფროსებმა, როგორ ჩამოაყალიბეს პირველი ბრიგადები. ამიტომ გოლიაძემ შეკრიბა პატარა ამხანაგები, ჩამოთვალა მათი სახელები და მერე ასე უთხრა:

— აი ჩვენ ვიქნებით სულ ამ ბრიგადაში.

— ბრიგადაში ვიცით ვინც ვიქნებით, მაგრამ ახლა ერთი ისიც გვითხარი, თუ რა უნდა ვაკეთოთ.

ჟუტუნამ ხმამაღლა გაიცინა და ამხანაგებს გადაავლო თვალი.

— ბიჭებო, ნუ გეშინიათ, ჩვენ ვიმუშაოთ და საქმე ბევრია და ბევრი კიდევ გამოჩნდება.

ზოგიერთებმა მაინც გაკვირვების თვალთ გადახედეს ერთმანეთს, რადგან კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა უნდა ეკეთებიათ.

— აბა, ჩამოთვალე ჩვენი საქმეები, — შევიდა წინადადება.

— ამ ზაფხულში საქონელს რომ მოვუაროთ, ისიც დიდი ვალდებულება იქნება, — მიუგო ჟუტუნამ.

— აი, ჩემო ძმაო, გული რომ გწყდებოდა, ხომ გამოჩნდა საქმე? — მუჯლუგუნის წაკვრით უთხრა ერთმა მეორეს.

— მეც ეგ მინდოდა, შე კაი კაცო, კი არ მწყენია, — უპასუხა იმ ბიჭმა, რომელიც მუჯლუგუნის წაკვრით საგრძნობლად შეირხა.

გაუგებარი არაფერი არ რჩება.

ეს ამბავი უფროსების ყურამდისაც მივიდა. მათ ტვირთის შემსუბუქება იგრძვნეს და მხიარულ კილოზე ალაპარაკდნენ:

— ხომ გაგიგონია კვიცი გვარზედ მიდი-სო. ჩვენ გვიჭირდა პირველად ამ ახალი საქმის წამოწყება, თვარა ახლა მათი გზა გაკაფულია, — დაკვირვებით ჩამოუგდო

ერთმა საშუალო ხნის გლეხმა სიტყვა ამხანაგებს.

მართალი სიტყვაა, შენ ნუ მომიკვდი ბი, — ღიმილით და მხრების აწევით უპასუხა მეორე გლეხმა.

ყოველ დილით, მზე რომ წითლად ამოყოფდა თავს, გოლიაძის პატარა ამხანაგებისაგან შემდგარი ბრიგადა მხიარული ყიჟინით აღვიძებდა უბანს; ისინი გამოუშვებდნენ საქონელს კოლექტივის ბოსლებიდან და ცვარით დანამულ მინდვრებისკენ გაუდგებოდნენ.

შუადღე მოატანდა თუ არა, საქონელი საძოვრებს გულს აუცრუებდა; ამ დროს მწყემსები შემოუვლიდნენ თავს და შინისკენ სხვა გზით წამორეკავდნენ. საქონელს პირველ ხანებში ამ გზით სიარული ეუცხოვა, არ უნდოდათ იქითკენ წასვლა, მაგრამ ბიჭები აქეთ-იქით ურბენდნენ.

ისინი გულს იმაგრებდნენ.

— მაგრად დაუხვდით, დღეს პირველია და შემდეგისათვის ამ გზით ჩვენს დაუკითხვად გაიქცევიან. — მიაძახა ბავშვებს ჟუტუნამ.

— უჰ, როგორ მოუხდებათ ამ გაცხელებულ გულზე ცივი წყალი... ტირიფნარის ბოლოზე ჩავრეკოთ, იქით დიდი მორევია და იმაში ავაცუროთ, — გამოეხმაურა პატარა ბიჭი, რომელსაც ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული და საქონელს ტირიფნარისკენ უქნა თავი.

საქონელი წყალს ხარბად დაეწათა.

ბავშვებმა უცებ გაიძვრეს ტანისამოსი და საქონელი იქ შეაცურეს, სადაც უფრო





ღრმა იყო მდინარე. წყალში შეცურებულ საქონელს წელზე შეასხდნენ ბიჭები და გაღმა ნაპირზე გაჰყვინენ. ხარებს თავებიღა უჩანდათ წყალს ზევით და უცნაურად ქმინავდნენ.

ისინი ასე დამაძლარი და გაგრილებული წამორეკეს ბავშვებმა შინისკენ. საქონელსაც უხაროდა კარგი მოვლა და მინდვრები კუნტრუშით გამოირბინეს.

გოლიაძის ბრიგადა ყოველ დილა-საღამოს საქონელს დასტრიალებს, ხოლო შუადღისას თავიანთ თავს პატრონობს.

### III

შუადღეა.

პაპანაქება სიცხე ჩამოწვა.

მაძლარი საქონელი ჩრდილებში წევს და თვალდახუჭული იცოხნის. ახლა ჟუტუნას ბრიგადას კიდევ სხვანაირი გეგმა აქვს. ისინი გოლიაძისას მოგროვდნენ და ერთად წავიდნენ.

— ბიჭებო, საპონი არ წავიღოთ? — იკითხა ერთმა ამხანაგმა.

— საპონი რად გვინდა, ყოველდღე წყალში ვბანაობთ.

— ჰო, რო თქვას კაცმა ეგეც მართალია, — თქვა მესამე ბიჭმა.

ისინი ასეთი საუბრით მივიდნენ მდინარესთან.

მათ ღრმა ადგილი მონახეს.

ამ ადგილს მოტრიალას ეძახიან, რადგან აქ მდინარე უხვევს და წყალი ტრიალებს.

ზოგს სხვა ადგილზე უნდოდა ჩასვლა და ამხანაგებს მიმართა:

— აი აქვე ჩავიდეთ.

ბავშვებმა ჯერ გაიცინეს, როცა სიცილის მორჩენ, მერე ერთხმად დაიძახეს:

— წყალმა რო თავზე არ გადამიაროს, იმაში რავა ჩავალ...

— ჩვენ ცურვა გვინდა...

— ცურვა... ცურვა, თვარა ჩვენს ტანზე ჭუჭყს რა უნდა, ტანს ყოველდღე ვიბანთ.

ისინი მივიდნენ მოტრიალასთან და შურდულებივით გადაეშვენ მდინარეში.

მათ თევზებივით დაიწყეს ცურვა. ისინი ერთგან რომ ჩაიყურყუმალებდნენ, მერე სადღაც შორს ამოყოფდნენ თავს, ხანდახან ერთმანეთს შეეკინკლავებოდნენ და მანამდის არ მოეშვებოდნენ ერთი მეორეს, სანამ რომელიმე მათგანი წყალში თავს არ ჩაყოფდა.

მოტრიალაზე ყოველ შუადღით ისმის ბავშვების ყიჟინა.

ბავშვები მორიგეობით შედიან მოტრიალაზე გადაწვდილ ტირიფზე და იქიდან ხტებიან წყალში.



სხვა სოფლის გლეხებმა, რომლებსაც მდინარე არ ეახლოვებათ, ცურვის არაფერი იციან. ისინი წისქვილში ხევაზე მოდიოდნენ ხოლმე. გადიკიდებდნენ თითო ორორ ფუთ სიმინდს ხურჯინივით, მიჰყვებოდნენ ხევას ნაპირებს და უკვირდით ბავშვების მოხდენილად ბანაობა.

ერთხელ რამდენიმე მესაფქვავე შეჩერდა მოტრიალასთან. მათ ჩამოიღეს საფქვავე და მასზევე დასხდნენ.

გლეხები აღფრთოვანდნენ, ბავშვები რომ თევზებივით დასრიალებდნენ ისეთ ღრმა ხეალში, სადაც ფეხსაც ვერ უწევდნენ წასხასა ღიბამდის.

— პატარა ბიჭო, არ გეშინია მაგხელა წყალში რო ხტები? — შეეკითხა გაკვირვებით ერთი მესაფქვავე.

— არა, ბიძია.

— მერე, ვინ გასწავლათ ასე კაცი ცურვა? ბავშვმა გაიცინა.

— ჰაი, ბიძია, ჩვენ რომ ცურვა არ ვიცოდეთ სირცხვილი არ იქნება?! ხომ ხედავ, მდინარე ჩვენს ეზოებში ჩამოდის.

— ეგ ქვა მართალი, — დაეთანხმა მესაფქვილე.

— ჩვენ, ბიძია, ყოველდღე ვცურაობთ აქნა და ამ ცურვით სხეულს ვივარჯიშებთ, ჯანზე მოვდივართ. ცურვა ადამიანისათვის ძალიან მარგებელია.

ბავშვებმა შუადღის გადასვლა გაიგეს და შინისკენ მოკურცხლეს. მესაფქვავეებმა ისევ თავიანთი საფქვავეები გადაიკდეს მხრებზე და წისქვილებისკენ შეუყვნენ.

არ. აკოპოზი

## დამკვირვებელი ბიჭი

ნახეთ, როგორ გამოსწორდა ზარმაცი და ცელქი გოგი: გაკვეთილებს სწავლობს მუდამ და სკოლაშიც ადრე მოდის. ვის არ გახსოვთ, ჩვენს გაზეთში რომ ეწერა მისი გვარი: რომ ყოველთვის მასწავლებელს ხელს უშლიდა ონავარი. ჰო და, როცა არ სწავლობდა, არ იღებდა ხელში კალამს.

სიმღერაში კარგი ჰქონდა, ისიც სუსტზე დაიყვანა. მაგრამ, აი, მარდმა კოტემ ის ბუქსირზე აიყვანა; სოცშეჯიბრი გაახურეს, სუსტებიდან გაიყვანა. მასწავლებელს უხარია, დამკვირველია ახლა გოგი, გაკვეთილებს სწავლობს მუდამ და სკოლაშიც ადრე მოდის.

# გმირი ბავშვი<sup>1</sup>



## III

ასე სრულდება ყველა შეხვედრა გმირი ბავშვის და „ჭკვიან“ ბაბუას, შემდეგ ის წავა, არა ჩანს დედაც, ღამეს ძილი და ფიქრები მოაქვს. პატარას თავში მრავალ საღამოს დასკვნა მრავალი გამოტანილა, ბაბუა ასე თუ რატომ ამბობს, ან რად გალახა გუშინ დანილამ. თუმცა შუალამეს გადაცდა კიდევც, თვალებს ძილი კი არ ეკარება. ვილაცამ ფეხი დაადგა კიბეს და ხმაურია სახლის კარებთან. ჩამოათარეს ფანჯარას ნოხი და სტუმრებს შორის იყო სიჩუმე. შემდეგ კი ერთმა დაიწყო ოხვრით: „ო, ჩვენ უთუოდ დავიღუპებით! მიაქვთ შექმნილი ჩვენი ქონება, არ გვაყენებენ სოფელშიც კაცებს! როგორ დავტოვო ცოლშვილი, თორემ მე ყაჩაღობით ბევრს პასუხს გავცემ.“ არ სძინავს პავლეს, ესმის სიტყვები: „მე ყაჩაღობით ბევრს პასუხს გავცემ“. მშობელი მამა მათ ხელს უმართავს, შეღავათებს და ყალბ ცნობებს აძლევს. და რომ ბავშვს წუთით არ ქონდეს შიში, წამოდგება და იყვირებს ასე: „შესდექი, მამავ, იგივე მტერო, ამ შავ საქმეებს შენ ველარ გასწევ!“ მაგრამ დაჩუმდა გული ამბოხი, გრძნობებს დასძლია ბავშვის გონება: ეხლა იყვიროს — ყვირილი რაა, ქოხს იქით ხომ არ გაიგონებენ! ისევ ფიქრებში შთაინთქა ბავშვი, თავში ათასი აზრი უფლავს. მტერია მამა, ბიძა, ბაბუა და ბიძაშვილი ბრგე დანიელა. ხალხის მტერია, ვინც შეიფარა

კულაკანოვი, შტარკოვ, სილინი, ვით კულაკები და მავნებლები პარტიის მიერ გამოდევნილნი. და ლენინელმა როგორ დაინდოს ამგვარი საქმის მოქმედი მამა! მან პარტუჯრედის მდივანს მიაგნო და დაწვრილებით მოუყვა ამბავს. შემდეგ კი, როცა მშობელი მამა გამოიყვანეს ხალხის წინაშე, პავლე დგას ისევ წარბშეურხველად და სასამართლოს ჩვენებას აძლევს: „მამა ღალატობს წითელ ოქტომბერს, მოქცეულია მტრების ბანაკში, იგი მტერია დაუნდობელი, დადის თემსაბჭოს ნიღაბით ხალხში“. აქ პავლეს მიერ ყოველი ითქვა, მას თავდახრილი უსმენდა მამა... გულში ხვდებოდა ყმაწვილის სიტყვა, როგორც მტრის მიერ ნასროლი დანა. მას მიესაჯა ათი წლის ციხე, შემდეგ დარბაზი დაცარიელდა. ხალხმა საჭირო საქმე იშოვა და ყველა თავის განაჩენს წერდა.

## IV

გამოიცვალა მთელი სოფელი, ხალხში ისევ დგას თემსაბჭო გულით. შავი საქმენი მრავლად აღმოჩნდა, მრავალი სამტრო და კულაკური. დადგა კლასური ბრძოლის სიმძაფრე, უნდა მოისპოს კულაკთა ფენა. სოფლად კოლექტივს გაუმარჯვია, გაუხარია გლეხის მარჯვენას. დღე ერთი არის, საქმე ათასი, დატვირთულია ყოველი წამი... როცა კულაკთა ისპობა კლასი, ყოველ მტრის გულში ჩამოწვა ზეავი. კულაკანოვის ყოფა დაბნელდა, განკულაკების დადგა მომენტი. სოფლის წურბელა და მავნებელი

<sup>1</sup> დასაწყისი იხ. ჟურ. „პიონერი“-ს № 5—6.

აღარ დატოვეს თემში არცერთი.  
მოროზოვების კარმიდამოშიც  
კაეშანია და მდუმარება,  
ხშირად არსენა კულაკანოვი  
ბაბუას სახლში დაიარება.  
დაიარება, შესჩივლებს მოხუცს  
თავისი ბედის უბედურებას...  
როგორ დატოვოს სიმდიდრე, თორემ  
ცხოვრებას სულწთლად დაემდურება.  
ჯერ ისევ დღე და სინათლე იყო,  
როცა სკოლიდან დაბრუნდა პავლე  
და დააკვირდა სოველ მიწაზე  
თავლისკენ გავლით ცხენის ნაკვალევს.  
ნახა იორდა კულაკანოვის,  
ეყარა ქერი, ება თავლაში  
ნახა ბაბუა, დაუდგა წინ და  
მას გაუყარა თვალები თვალში.  
— იცოდე, ცხენი თემსაბჭოსია  
და კოლექტივის არის საკუთრივ.  
კულაკანოვის მთელი სიმდიდრე  
შექმნილი არის გლეხების კუნთით.

არ დააბრუნებ მონაპარავ ცხენს?  
დარჩები ქურდი ხალხის ქონების  
გავიტან ამბავს, ყველგან შეგარცხვენ,  
თემსაბჭოს მიერ ჩაიქოლები!  
„ჩაიქოლები! უმალ ჩაგქოლავ!  
ლეკვო, რას ბედავ შენ ჩემს წინაშე!“  
ხმა აიმაღლა აქ ბაბუამ და  
პავლეს სახეში გაართყა სახრე.  
„თუ კვლავ განაგრძობ პიონერობას,  
თავს არ ანებებ და არ მენსნები,  
ძალივით მოგკლავ, ხელით დაგალრჩობ,  
შენ თუ გაშალე სოფლად ეს ხმები...  
რა გაეწყობა, გაძაღლდა ხალხი,  
იტყვის მოხუცი და გულს მოიფხანს.  
„გადააფარეს ქვეყანას თალხი,  
არა ვარ მომსწრე ასეთ დროისა“.  
ბავშვს კი ცხვირიდან სდიოდა სისხლი  
და მძიმე ნაცემს სიტყვა ვერ ეთქვა,  
პატარა ძმა კი ცრემლიან თვალთ  
სასტიკ ბაბუას შორიდან სჭვრეტდა.  
(გაგრძელება იქნება)

## ი. ჭარხალიშვილი

### ჩამორჩენილის იმედი

რა ვქნა, სიმართლეს ვიტყოდი—  
სამში გამოძევა გამოცდა...  
დავხედე ნიშნებს და გული  
ამაზე როდი გაოცდა.  
ვთქვი: მეკუთნოდა, რადგანაც  
ბევრი დრო გამიცდენია,  
წლის ბოლოს თვალწინ დამიდგა,  
რაც რამე ჩამიდენია.  
დავბრუნებულვარ კვლავ სახლში,  
დილით მოსული სკოლაში,  
ბევრჯელ დროც მუქთად მომიკლავს  
ტახტზე გულაღმა წოლაში“.  
და გამომაჩნდა ეს ახლა  
ვით მწარე, ძველი ციება,  
აქამდის სავსე სიამით —  
გული საფიქრელს მიეცა.

დავკარგე მთელი ზაფხული,  
თავისუფლება ლაღია.  
მივხვდი ჩემ თავზე მომხდარი  
ეს ყველაფერი ახია.  
მაგრამ არადროს მოვიკლავ  
მე იმედს გამარჯვებისას,  
ზაფხულს შრომაში დავწურავ,  
მას ვპოვებ შემოდგომისას.  
და კვლავ ჩავდგები ამაყად  
გამარჯვებულთა რიგებში,  
სასწავლო წელში გავასწრებ  
მე მათ დასახულ გეგმებში.  
გვიან მივუხვდი, სწავლასაც  
რომ უნდა ტემპი მედგარი,  
შორს ჩემგან სიზარმაცეო.  
ახლა ცოდნისკენ ვიჩქარი!

ჭავჭავაძის ქუჩაზე, სულ ზემოთ, წყლის მილი გასკდა. წყალმა მძლავრად დაიშინინა და კოხტა ნაკადულად დაეშვა თავქვე. მორბის, რას მორბის, გეგონებათ დაბარებულაო.

გზაზე რომ ქვა ან სხვა რამ დაბრკოლება შეხვდება, — ერთი ისე ეძგერება, რომ ყირა-ყირა ატარებს ყველაფერს.

თან ჩუხჩუხებს, ტკბილად ჩუხჩუხებს და ვერცხლივით ბზინავს მზის სხივებზე.

— არიქა, ბიჭებო, ჩახრიალა! უყურეთ რა მშვენიერი ჩახრიალაა.

— უუ, ალაზანივით მოვარდნილა. დეე-დააა, რა-მოდენაა!

— ბიჭო თან მოაქვს ყველაფერი, დახეთ, დახეთ, კონსერვის ყუთს როგორი წკრიალითა მოაკოტრიალებს!

დაინახეს ბავშვებმა და გამოქანდნენ.

მაღე მთელმა უბნის ცელქებმა თავი იქ მოიყარეს.

ფეხთ დაიხადეს, ყველამ შეტოპა.

ცივი წყალი ესიამოვნათ. უფრო გახალისდნენ.

ადიან და ჩადიან ნაკადულის აღმა და დაღმა, თან წყალს ფეხით აგუბებენ. ნაგუბარს უშვებენ და მოზღვავებული წყალი უფრო ხალისიანად რომ დაქანდება, — ბავშვები ჟივილ-ხივილით თან მიჰყევიან.

წყალს სისწრაფეში ეჯიბრებიან.

ხან ერთმანეთს წუწავენ, ხან წუმწუმას კოლოფს ტივად გამოატანენ და მოჰყვირიან:

— მოდის, მოდის, ჩამოეცალეთ! ო, პა, პა, პა! რა დიდი ტივია!

ბავშვებმა ბევრი ითამაშეს. ძლიერ უხარიათ, რომ მილის გამკეთებელი ხელოსანი ჯერ არსადა ჩანს.

— ნეტავი ყველა ხელოსნები სულ შორს იყვნენ, შორს...

— ერთი სამი დღე იდინოს, რომ გავძღე ამის ჩუხჩუხით, ოი, შენი გულისა, შენი! ბოლოს მაინც მოიქანცნენ და ახლა დიდ საქმიანობას შეუდგნენ.



მწერალი ქალი ცქვიტი

— იცით, რა გითხრათ, ბიჭებო! მოდი და ზაპესი ავაშენოთ. გინახავთ ზაპესი?!

— შენ თუ არ გინახავს, თორემ მე მგონი ორმოცჯერაც მინახავს. იქ ისეთი დიდი ტბაა დაგუბებული, ისეთი, რომ... იქ ლენინის ძეგლიც არის...

ჰო, მეც ვიყავი, მეც... მამაჩემმა წამიყვანა. მე იქ ღამეც გავათენე. ისე ანათებდა, ისე, რომ ვარსკვლავებით მოჭედვით ცა გეგონებოდა...

— შენ რა იცი, აზირ მე მკითხო? იქ ისეთი დიდი ისაა — რა ჰქვია, აისა... ისა... ფუნი, აის... — ველარ მოიგონა არჩილმა და შერცხვა.

— კარგია, კარგი, შენცა ტრაბახობ და ტყუილად რაღაცას იგონებ.

— ვტრაბახობ კი არა! განა არა ვნახე... ისე ტრიალებდა, ისე, ისე, რომ...

— თქვი, რაღა, თუ იცი... ლაპარაკობ რაღა!! — გააწყვეტინეს ბავშვებმა სიცილით.

— მოდით, კაცო, მოდით, რა დროს ლაპარაკია! დროით ავაშენოთ, ბიჭებო! ზაჰესი! აი ამ ჩავარდნილ ადგილას წყალი მიუფედოთ და დავაგუბოთ, ეს ტბა იქნება. აი, აქ კიდევ ხიდი გავდოთ.


გეგმებს ისევ შალიკო აწყობს და ამიტომ მთავარ ინჟინერად ის აირჩიეს.

— მე, მუშა ვიქნები, ქვებს მოგიზიდავთ, — ძლივს ლაპარაკობს სამი წლის გივი.

გივი ძლიერ მარდი ბიჭია, ყოჩაღი, მაგრამ ლაპარაკს ჯერ კიდევ კარგად ვერ ახერხებს.

ის სულ მთლად მოწუწულია. ჩახრიალაზე ამან უწინ პირი დაიბანა. თავი დაისველა. გული სულ მთლად გაწუწული აქვს და თავგამოდებულია, რომ ასე კარგად ქეიფობს.

იცი, შალიკო, ჩვენ ეზოში დურგლები მუშაობენ. იქ ბევრი ფიცარია. წავალ და



კოხტად გარანდულ ფიცარს მოვაცუნ-ცულებ.

— არიქა, ბიჭო, აბა ჩქარა! ბიძინა, შენ მიწა მოიტანე! აგერ ფურნესთან ახროვილი მიწაა, ძალიან წმინდა მიწაა და იქიდან ზიდე.

— შოთა და ლეო, წყალს გზა ამ ჩავარდნილ ადგილას გამოუკვლიეთ. დიდი ლურსმნებით ან რკინის ჯოხები იშოვნეთ და ლელე ასე გათხარეთ,

ბავშვები ამუშავდნენ. ძლიერ უხარიათ.

ყველა ერთგულად ირჯება. მიწას ზიდავენ, ტალახს ზიდავენ, კენჭებს აგროვებენ, ნაფოტებს ჩავარდნილ ადგილზე ზომავენ... ერთი სიტყვით, დულს მუშაობა, დულს.


ცოტა ხნის შემდეგ კოხტა წარწერაც ამეტყველდა:

„ჩვენი სამშენი“.

პატარა კედელი აიშართა თუ არა, ბავშვები უფრო ხალისიანად ამოძრავდნენ. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, ხელებს მარდად ამოძრავებენ, გარბიან, გამორბიან, დაგუბებულ ტბას გზას აძლევენ, რომ სველი კედლები არ დაუნგრის.

კიდევ მოშუადღევდა. კარგად ჩამოცხა, ბავშვები შინც ვერაფერს გრძნობენ. ისინი ძლიერ გართულნი არიან და ბედნიერები.

შალიკომ ქვა აიღო, დინჯი ნაბჯით ტელეფონის რკინის ბოძს მიუახლოვდა და რკინა ააწყარუნა.



— ეს, ბიჭებო, დასვენების ზარია. შალიკო, საყვირი სჯობია, საყვირი. ბუუუ! — დიდი ხმით აღრიალდა რეზო. უუუ! — ახმაურდენ სხვებიც.

კარგია, ბიჭებო, კარგი, ახლა ისაუზმეთ.

— რა უნდა ვჭამოთ? აბა საქმელი სად არის?

სადა? თქვენ უნდა მოიტანოთ, თქვენ ნარდად მუშაობთ და თქვენ ხარჯზე ხართ.

— ე, ბიჭო, მართლა, პური ისე' მომ- შივდა, რომ... მაშ წავალ და პურს მოვიტან.

— მეც მოვიტან, მეც... დამაცადეთ, მე ვიცი, პური სადაც არის.

გარბის პაწია გივი და სიხარულით მი- ბუტბუტებს: „მე ვიცი, პური სადაც არის“.

გივი უკვე შინაა. კიბეზე ქაქანით ადის. სიჩქარით მარვალი ჩასჩაჩვია, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს.

ოთახის კარი შეაღო. დედა სახლში არ დაუხვდა.

ბებიას კი თავი მუთაქაზე მიუდვია და მისძინებია.


კატაც ამ სიცხეში კისერთან კოზტად მისწოლია და ორი ბებერი ტკბილად ხვრინავს.

გივიმ სასადილო კარადის უჯრა გამო- სწია, პურის წიგნაკები ამოიღო და გა- მოცუნცულდა.

კოტა ხნის შემდეგ გივი ჯერში იდგა პურისთვის.

— შენც პური გინდა, ბიჭუნო? ოჰ, რა პატარა კაცი ხარ, ძმაო! — გაეხუმრა მეპურე და პურის წიგნაკი ჩამოართვა.

— ფული, შვილო, ფული რაღა უყავი?!



— ბავშვი გაჩუმდა. დიდი თვალებით მეპურეს მისჩერებია.

ბიჭო, დედამ ფული არ გამოვატანა? გივი თავს იქნევს.

— მაშ შენ წადი, შვილო, ეს წიგნაკი აქ იყოს, არ დაკარგო, მამაშენს მე თვი- თონ მივცემ.

გივი ადგილიდან არ იძვრის. მეპურეს ისევ თვალებში შესჩერებია.

— პური მინდა, ძია პური.

— ვაი შენი ბრალიცა, როგორ დაუმ- შევიათ! — გაიცინა მეპურემ, ბავშვს პური მოუჭრა და მისცა.

— მორბის სიხარულით გივი: მუშებს პური უშოვა.

ახლა კი საერთო სუფრას გასჭიმავენ.

— აი, პური, რა დიდი პური მოვიტანე! ბავშვებმა პური ჩამოართვეს, სიხარუ- ლით გაინაწილეს.

პატარ-პატარა ნაჭრებად ბრტყელ ფი- ცარზე ჩამოამწკრივეს და შემოუსხდენ.

აქ დიდი ქეიფი იყო და გივის სახლში კი დიდი აურზაური. სადილობა მო- ხლოვებული იყო და პურის წიგნაკების ძებნაში ერთი აღიაქოთი ატეხილიყო.

— წადი, ქა, მეპურეს ჰკითხე, იქნებ გუ- შინ დილას იქ დაგრჩა და შენ კი დარწმუნე- ბული ხარ, რომ მოიტანე, — ჩასციებოდა დედა გივის მამას და საშინლად დელავდა, გივის კი ამ დროს ჩახრიალაში ისევ ფე- ხები ჩაეწყო და მხიარულად გაიძახოდა:

— ჩვენ მუშები ვართ! საუხმე ვჭამეთ და ახლა უნდა ავაშენოთ!



\* 1)  
\* \*

ნუთუ ასე მოგეწყინა მზის სიცილი, მზის თამაში,  
ან სინაზე მზის სხივისა, მოციმციმე დილის ნამში,  
რომ სულყველა დასთმე ერთად, რომ სულყველა მიატოვე  
და წახვედი სამუდამოთ, მოინდომე სიმარტოვე!

იქნებ ვინმემ გაგაჯავრა, იქნებ ვინმემ გაწყენინა,  
იქნებ მისთვის ჩამოგვშორდი და მოძებნე ცივი ბინა,  
მოინდომე სიმარტოვე, სიმარტოვე მიწის ქვეშა  
და გააგდე სამუდამოდ შენ სიცოცხლის აზარტეშა.

კარგი... ახლა ზაფხულია და გაუძლებ სიმარტოვეს,  
მაგრამ როცა თოვლი მოვა და სუყველა მიგატოვებს,  
როცა თეთრად გადააკრავს იქვე ახლომანლო სერებს,  
ჩამოჟონავს წვიმის წყალი და მაგ სახეს დაგისველებს...

როცა ქარი, მწარე ქარი, გაგიწივლებს ყურის წინა,  
დამიჯერე, რომ შენ მაშინ შეგჯავრდება შენი ბინა,  
სიმწარისგან დაღრეჯილსა სახის კანი დაგებევა,  
მწარე ქარი სანუგეშოდ გულს ჩაგიკრავს, ჩაგებევა...

და ჩაგძახებს „ვერსად წახვალ, მე მეკუთვნი, მე, მხოლოდ მე,  
როცა ვინმე მოგენატროს, დამიძახე მაშინ ხოლმე,  
მე ჩამოვალ მაგ ჯურღმულში, დაგიკოცნი ლამაზ თვალებს,  
სამუდამოდ დაგავიწყებ, შვილის კოცნას, შვილის ალერსს!“

მართალია, ჩაგიხუტებს, მოგებევა ყელზე მერე,  
მაგრამ ქარი შვილის ალერსს ვერ გაგიწევს, დამიჯერე,  
მოგინდება შენ სიცოცხლე, მოგინდება გაზაფხული,  
და დაგეწვის სიმწარისგან, სიმწარისგან შენ ეგ გული.

მოგინდება ჩვენთან ყოფნა, მოგწყინდება სიმარტოვე  
და იფიქრებ „რა მინდოდა, მე ისინი რად დავტოვე,  
მე სიცოცხლე ისევ მინდა, მე სიცოცხლე მენატრება  
მინდა ვნახო დღის სინათლე საღამოზე, როგორ ქრება“

შენ დაიწყებ მაშინ კვილს და ვერავინ გაიგონებს,  
შენს კვილზე ქარი მოვა, გულს ჩაგიკრავს, ჩაგიკონებს...  
„ვაჰმე, ყველამ დამივიწყა, მოდი, ქარო, მოდი მალე,  
უიმედო ყვირილისგან, მოვიქანცე, მოვიღალე“.

<sup>1</sup> ეს ლექსი ეკუთვნის შ. მღვიმელის შვილს.

ხან ძახილში, ხან ყვირილში მოვა ასე გაზაფხული,  
შენ მახლობლად გადმოვხედავ ყვავილების თაიგული,  
გაიგონებ იის სიცილს, გაიგონებ მათ ვედრებას,  
მათ სიცილში, მათ თამაშში, დაივიწყებ მწუხარებას.

და როდესაც შენთან მოვლენ მოწყენილი შენი დები,  
თითქოს კიდევ გეწყინაო, იმნაირად გაყუჩდები...  
„ვაჰ, რა უნდათ, ნეტავ ჩემგან, ნეტავ რად არ მეშვებიან?  
ყვავილებთან სიცილს, ხვევნას, რად მიშლიან, რად მიშლიან?!“

მაგრამ როცა თოვლი ისევ გადაფარავს მახლობ სერებს,  
ჩამოჟონავს წვიმის წყალი და მაგ სახეს დაგისველებს,  
როცა ქარი, მწარე ქარი გაგიწივლებს ყურის წინა, —  
დამიჯერე, რომ შენ მაშინ შეგჯავრდება შენი ბინა...

და დაიწყებ კვილს, მაგრამ მას ვერაფერს გაიგონებს,  
შენს კვილზე ქარი მოვა, გულს ჩაგიკრავს, ჩაგიკონებს,  
მართალია, ჩაგიხუტებს, მოგეხვევა, ყელზე მერე,  
მაგრამ ქარი შვილის ალერსს ვერ გაგიწევს, დამიჯერე..

## ბ მ რ კ ე ტ ი

(რეინიდან)

1

მშვენიერი დილა იყო. ეზოში შეშას  
ჭრიდა ორი გლეხი, მაგრამ შეშა ცურავ-  
და, ჭრა ძნელდებოდა.

— ბიჭებო, მოდით, მოგვეხმარეთ! —  
დაუძახა ერთმა გლეხმა ბავშვებს, რომლებ-  
ბიც ჟრიაბულით გამოიქცენ.

— რა გინდა, ბიძია? — იკითხეს ბავ-  
შვებმა.

— მოდით და ამ შეშაზე დასხედით,  
აღარ იცურებს და კარგად გავხერხავთ.  
რამდენიმემ კიდევ თავში მოჰკიდეთ ხე-  
ლი. — მიუგო გლეხმა.

ბავშვებმა ეცნენ ხეს. ზოგი თავში მოეწყ-  
ყო, ზოგი ბოლოში და გაჩაღდა მუშა-  
ობა.

დახერხეს შეშა, დაიღალნენ გლეხები.

— აბა, ახლა კი კმარა, რამდენიმე დღეს  
გვეყოფა, — თქვა ვასილმა, და შეწყვი-

ტეს მუშაობა, ერთი მსხვილი არყი კი  
მორზე გადებული მიატოვეს.

კოლამ უცებ წამოიძახა:

— ბიჭებო! მოდით, „აწონ-დაწონია“  
ვითამაშოთ! აბა ვინ აჯობებს! — და თვა-  
ლის დახამხამებაში მოეწყვენ ოთხი იქით  
და ოთხი აქეთ.

— აბა, ჰე, იქით ვანო, აქეთ ნონა, აი-  
წონა, -დაიწონა! — და შეიქნა სიცილ-ხა-  
რხარი. ხან ერთი მხარე იყო მაღლა და  
ხან მეორე.

— არ მინდა ეს თამაშობა! — თქვა პე-  
ტიამ და ჩამოვიდა. ახლა ერთ მხარეს  
სამი ბავშვი იყო, მეორეს კი ოთხი, და  
ოთხმა აჯობა მათ. მაგრამ ისინი ერთმა-  
ნეთისაგან შორი-შორს ისხდნენ, თითქმის  
მთელი ნახევარი ძელი მოეკავებიათ, კო-  
ლამ კი მოისაზრა და თავის ორ ამხანაგს  
უთხრა:





— ახლოს მოიწიეთ, ერთად მოვეწყოთ, და ვნახოთ ვინ აჯობებს...

მართლაც ცუდათ წაუვიდა საქმე მარცხენა მხარეს, მაგრამ ისინიც შეჯგუფდნენ ძელის მეორე თავში, — და წახდა მარჯვენა მხარის საქმე.


— ძელის შუამდის მათგანაც ისეთივე მანძილია, როგორც ჩვენგან, ისინი კი მეტი არიან, ასე არ შეიძლება, — გაიფიქრა კოლამ და უნდოდა ეს ეთქვა, მაგრამ ვერც კი მოასწრო პირის გაღება, რომ ძელის მარცხენა თავი მიწას მოხვდა, მარჯვენა თავი კი ისე ავარდა, რომ კოლამ თავი ვერ შეიკავა და ძირს მოიღო ბრაგვანი.

— არ მიჯერია, არ მიჯერია! თქვენ ოთხი ხართ! ჩამოსვით ერთი და მერე ვნახოთ! — გაცხარდა კოლა.

ჩამოსვეს ერთი. სამი ერთ თავში მოეწყო, სამიც მეორეში. ორივე ჯგუფს ერთნაირი მანძილი ჰქონდა ძელის საყრდნობამდის, და ვერც ერთი მხარე ვერ სჯობნიდა.

მობებრდათ ეს თამაში, გაანებეს თავი. მივიდა კოლა შინ და მამას ასეთი ამოცანა მისცა:

— აბა რა არის ეს: ჯოხს ზედ შუაზე აქვს მკედი მობმული; მის ერთ თავში სამი ისარი კიდია, მეორეში კი ოთხი, ჯოხი კი თანაბრად, არც ერთი მხარე არ ძლევს.



- დაფიქრდა მამა, ჩაიცინა და თქვა:
- ბერკეტი.
  - არა, ვერ მიხვდი.
  - ბერკეტი!
  - არა, არა, ვერ მიხვდი!
  - კი, მაგრამ იცი, რა არის ბერკეტი?
  - გამიგონია და დანამდვილებით კი არ ვიცი.

2

— დღეს უნდა გადავცეთ ტრაქტორი კოლმეურნეობას. — თქვა კოლას მამამ სადილობისას. — ჩვენი დელეგაცია მიდის, მეც ამირჩიეს.

- კოლამ ყურები დაცქვიტა.
- რით წახვალთ?
- საბარგო ავტომობილით.
- მე არ წამიყვან?
- წამოდი, თუ კი გინდა.

ნასადილევს, ოთხ საათზე, მოადგა სახლს საბარგო ავტომობილი. კოლა და მამამისი ძლივს მოთავსდნენ — ბევრ დელეგატებს მოეყარა თავი. ცოტა ხნის შემდეგ ავტომეზობელი სოფლისკენ გაქანდა.

სულ ოცი წუთის გზაა. როდესაც დელეგატები მივიდნენ, ლენტებით და პლაკატებით მორთული ტრაქტორი უკვე მინდორში იყო, ირგვლივ კი გლეხები შემოაჯდნენ. კოლამ ტრაქტორთან ამოყო თავი. ორი მუშა ფუსფუსებდა ტრაქტორთან.

„ვიცი, რაც უნდათ იმათ — ფიქრობდა კოლა. — ტრაქტორს უკანა ღერძზე დამატებითი თვლები უნდა წამოაცვან.“

— ეჰ, — თქვა ერთმა მუშამ, — დომკრეტი რომ არა გვაქვს — დავავიწყდა ქარხნიდან წამოღება. ისევ ბერკეტით უნდა მოვაგვაროთ საქმე როგორმე.

კოლამ გაიგონა სიტყვა „ბერკეტი“ და გაუკვირდა: ნაცნობი სიტყვაა, მამა ძელს ეძახის ამ სახელს. მაგრამ რა შუაშია აქ ძელი?


მუშებმა ყუთებით გააკეთეს საყრდნობი, ზედ ძელი დადეს ისე, რომ საყრ-

დნობიდან ტრაქტორამდის უფრო მოკლე იყო ძელი, ვიდრე საყრდნობიდან ხელებამდის. მაშინ ერთ-ერთი მუშა დააწვა ძელის თავს, და ტრაქტორის უკანა თვლები მსუბუქად ავიდა ჰაერში. შეუდგენ ღერძზე დამატებითი თვლების წამოცმას.

— ბიძია მომეცი, მე დავაწვები ამ ძელს, — შეეხვეწა კოლა.

— ვერ მოვრევი, ბიჭო, პატარა ხარ.

— კი მოვერევი, ბიძია, კი! მე ამ საყრდნობს, აი ამ ყუთს, ტრაქტორისკენ მივწევ, მაშინ ძელი ჩემს მხარეს კიდევ უფრო გრძელი იქნება, და მეც იმდენსვე მოვერევი, რამდენსაც შენ.



— სწორია, — თქვა მუშამ, — მაშასადამე, გესმის, რა არის ბერკეტი.

— მესმის, აბა არ მესმის! ტყვილა კი არ ვთამაშობთ ყოველდღე „აწონ-დაწონია“-ს.

### 3

— ბიჭო, — ეუბნება მამა კოლას, — მე დღეგატად ამირჩიეს საპირველმანისოდღესასწაულზე მოსკოვში წასასვლელად. მე ასე მოვიფიქრე: მოდი შენ წადი ჩემ მაგიერ. კიდევ ვუთხარი ჩვენ ბიჭებს: მოსკოვი მე ხომ ბევრჯერ მინახავს, და ისევ ის სჯობს — ჩემი კოლა გავგზავნოთ მე-თქი. წახვალ?

კოლა სიხარულისაგან შეხტა კიდევც, გამოვარდა სოფლის შარაზე და ყვიროდა:

— მოსკოვში მივდივარ! მოსკოვში მივდივარ პირველმანისობაზე!

დილისთვის უნდა მოემზადოს. წავიდა დუქანში სურსათის საყიდლად, კოოპერატივი დაკეტილია, მოცდის დრო კი არ არის: დღეგატები სადგურზე მოიყრიან

თავს, სადგურამდის კი გვარიანი მანძილია. მივიდა კოლა ტროშინის დუქანში, ტროშინმა უკანა კარიდან შეუშვა და მენვის აწონა დაიწყო. მისჩერებია კოლა სასწორს, აკვირდება, რომ ორივე პინა თანაბრად იდგეს.

— კი, მაგრამ შენი სასწორი სწორია?

— ვა, სწორია, მა რა! განა ასეთი სასწორი მოგატყუებს?

კოლამ უპასუხა:

— მოტყუება ძალიან ადვილია: სასწორი იგივე ბერკეტია; პინა საყრდნობზე ორივე მხარეს ქანაობს. თუ გადაწევ უღელს სწორი წერტილიდან — ერთი მხარი გრძელი იქნება, მეორე — მოკლე, და მოგატყუებს კიდევც. აბა შეამოწმე!

— იქნებ მასწავლო, ბიჭო, როგორ შევამოწმო? კარგი გამოქეჩილი ხარ! არა უყურე, ერთი, რა მოინება!!

მაგრამ კოლა ისეთი როდია, რომ საქმეს თავი მიანებოს. იმან იფიქრა, იფიქრა და უთხრა:

— აბა დადევი სასწორის ორივე პინაზე ას-ასი გრამი, და მაშინ გამოჩნდება ყველაფერი.

არ დაეთანხმა ვაჭარი, და კოლამ ერთი აურზაური ასტეხა. ხმაურობაზე ხალხმა შეიყარა თავი.

აბა დადევი, დადევი, — ეუბნებიან ტროშინს.

მეტი რა გზაა, დადვა ტროშინმა მარცხნივ ასი გრამი, მარჯვნივ ასი გრამი, და სასწორის მარჯვენა პინამ დაყანთრა.

— აჰაა! — მიუბრუნდა კოლა ტროშინს, — შენ ამ პინაზე დებდი ძეხვს, და ის ყანთრავდა, რადგანაც ეს პინა საყრდნობიდან უფრო შორსაა, ვიდრე მარცხენა პინა. ხომ დაინახეთ, მოქალაქენო, ეს მარჯვენა პინაზე დებდა პროდუქტებს. მარცხნივ ას გრამს დადებს, მარჯვნივ კი მხოლოდ ოთხმოცდაათ გრამ პროდუქტებს, სასწორი კი გასწორდება, თითქოს და მარჯვნივაც ასი გრამი იყოს.

ხომ ხედავთ, რა მატყუარა ვინმე ბრძანდება! ჰა, შენი ძეხვი, შენთან არაფრის მყიდველი აღარ ვარ!

გაბრუნდა და გავიდა დუქნიდან,

4

სანამ ტროშინის თაღლითობას ააშკარავებდა კოლა, მზე ამოვიდა, კოოპერატივიც გააღეს. კოლამ იყიდა რაც სჭირდებოდა სამგზავროდ: ძეხვი, ყველი, პური, და მერე შინისკენ მოუსვა. დაავლებს ხელს ფუთას და გასწევს!

— მოდი კოოპერატივის ეზოზე გადავივლი, გზას მოვჭრი, — გადასწყვიტა მან.

მიდის გზაში და ხედავს: მუშები კარტოფილით სავსე ტომრებს ყრიან ურმიდან და სასწორზე დებენ, მაგრამ ეს სულ სხვანაირი სასწორია: პინების მაგივრად პატარა ბაქანი აქვს. საკიდზე აბრებს დებენ. თუმცა ძალიან ჩქარობდა კოლა, ამ სასწორთან მაინც შეჩერდა. მისჩერებია და უკვირს: დიდი, მძიმე ტომრებია, საკიდზე კი ძალიან ცოტა აბრაა, და მაინც ვერ გადაწონა ტომრებმა. ამასობაში აწონვაც მოათავეს მუშებმა.

ერთმა მუშამ უთხრა კოლას:

— აბა, ბიძია, შედექი სასწორზე, ვნახოთ ერთი, რამდენს იწონი.


შედგა კოლა სასწორზე, მუშამ საკიდზე სამი კილოგრამი დადვა, შემდეგ ხუთასი გრამი დაუმატა, და სასწორის ენებიც ერთმანეთს გაუთანაბრდა, ერთმანეთის პირდაპირ დადგა.

— მსუბუქი ყოფილხარ, ბიჭო, მხოლოდ ოცდათხუთმეტი კილო.

ჩამოვიდა კოლა სასწორიდან და შინისკენ მოკურცხლა.

— სად დაიკარგე? — ეკითხება დედა, — დაჯექ, ჩაი დალიე.

მამა სამუშაოდ მიეჩქარება, კოლა კი არ უსვენებს.




— მოიცა, გამოცანს გეტყვი და აბა თუ გამოიცილობ: თვითონ თავის თავზე ათჯერ მსუბუქია.

ვერ გამოიცილო მამამ.

— ვერ გამოიციანი? აკი ამბობდი, ბერკეტის შესახებ ყველაფერი ვიცო. სასწორია, სასწორი! კოოპერატივშია ასეთი სასწორი. ერთი მხარი მეორე მხარზე ათჯერ უფრო გრძელია. მოკლე მხარზე ბაქანი კიდია, რომელზედაც პროდუქტებს დებენ, ადამიანსაც შეუძლია შედგეს ზედ, გრძელზე კი საკიდია, რომელზედაც აბრებს დებენ. ადგა მუშა და საკიდზე სამკილოგრამნახევარი დადო, ამ აბრებმა კი ათჯერ მეტი აწონა, გამოდის, რომ მე ოცდახუთმეტი კილოგრამს ვიწონი.

— ეჰ, ვერ თქვი პირდაპირ — ათწილადი სასწორი, თორემ შენ ისეთი გამოცანა თქვი, რომ ვერც კი გაიგებს კაცი. აბა, ნუ ლაყბობ, აუჩქარე, თორემ მატარებელი შენ კი არ მოვიცდის.

(გაგრძელება იქნება)



ამ გულთა ლამაზ ცის ქვეშ  
რა მშვენიერ ტყეებს ვხედავ,  
ნაძვის ტყეებს, —  
— სადაც დილით  
დავრსეირნობთ მე და დედა!  
ხეთა შორის მებადება  
უამრავი ტკბილი განცდა,  
მაყვარს თვალის გასართობად  
შეჩერება სადმე ნაძვთან...  
წინ საამოდ მიწას ფარავს  
ხვერდივით მწვანე ხავსი,  
ტყის სიღრმეში დუმილია  
მიმზიდველი ზღაპრის მსგავსი.  
ჩუმი ქარის ფრთხილი გავლა  
გავს სიმღერას გულის გამთბობს,

სადაც სივრცე მინდა იყოს,  
უფრო დიდი, უფრო ფართო.  
მინდა სიბრძნეს ვნახულობდე  
აქ ოცნების შარა-გზაზე...  
ტყიდან მუდამ გამოვდივარ  
ძალ-ღონით და გრძნობით სავსე.  
გონების კარს, წიგნებივით,  
განცდები და ფიქრი აღებს...  
ამ ივლისში, ამ ზაფხულში  
ვერ დავტოვებ ცემს და წალვერს.  
როგორ დავთმო! საამოა  
ხვერდივით მწვანე ხავსი...  
ტყის სიღრმეშიც დუმილია  
მამზიდველი ზღაპრის მსგავსი!

3. ლოცვა

ა ი უ ე<sup>1</sup>

5

ერთ დილას, როცა ნაილე ჩვეულები-  
სამებრ უნდა მოსულიყო, შორეთი მოვი-  
და. მას ნაზიკო შემოჰყვა და რამდენიმე  
წუთის შემდეგ ყველამ მოიყარა თავი,  
ხოლო ნაილე არსად ჩანდა. ყველაზე  
უფრო აიშეს გაუკვირდა ნაილეს მოუ-  
სვლელობა. ბავშვებმა კარგახანს უცადეს,  
მაგრამ ნაილე არ გამოჩნდა და ისევ უი-

მისოდ წავიდნ სათამაშოდ. ყოფილა  
ხოლმე შემთხვევა, როცა ორი-სამი გო-  
გონა დაჰკლებია თამაშობას, მაგრამ ასე  
არ უმოქმედებია. დღეს თითქოს ყველა  
გრძნობდა რაღაც ნაკლოვნებას და სიცა-  
ლიერეს. აიშე კი სრულიად უხალი-  
სოდ იყო.

ის იყო თამაშობა უნდა დაეწყოთ, რომ  
ნაილეც გამოჩნდა. ნაილეს გამოჩენამ  
გამოაცოცხლა და გაამხიარულა ბავშვები.  
აიშე სიხარულით გაიქცა და მიეგება

1 დასაწყისი იხ. უფრ. „პიონერის“ № 5-6

მომავალ ამხანაგს, რომელსაც გულში ჩაეკრა და შემდეგ ხელმოხვეული წამოიყვანა. ყველა გახალისდა, მაგრამ ნაილეს უხალისობა ეტყობოდა. დაამთავრეს თუ არა ერთი წყება თამაშობა, ის აიშესთან მივიდა.

— მე შინ უნდა წავიდე, — ნელი ხმით უთხრა ნაილემ აიშეს, თავი ძირს დახარა და თვალებში ხელი ამოისვა.

— რატომ? — გაიკვირა აიშემ.

— ნენეი ავადაა, — უბასუხა ნაილემ და ცრემლმორეული თვალები ამხანაგს შეანათა.

— მეც წამოგყვები, — უთხრა აიშემ და ნაილეს გაჰყვა.

ბავშვები თავთავიანთ სახლებში წავიდნენ.

ნაილეს არ უნდოდა წაჰყოლოდა აიშე და დედამისს ენახა, მაგრამ როგორ უნდა ეთქვა უარი ამხანაგისთვის.

ემინე ბნელ ოთახში იწვა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეგდო. თავი გვერდზე ჰქონდა გადადებული და ხელები აქეთ-იქეთ გადაყრილი. გონება არ დაჰკარგოდა ჯერ, მაგრამ მოძრაობისა და ენის ამოღების თავი არ ჰქონდა. იქვე ტახტთან ორი მოხუცი დედაკაცი იჯდა. ორივე თავთავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. დროგამოშვებით თითოეული მათგანი წამოდგებოდა, მწოლარეს თავზე დაადგებოდა, სულს შეუბერავდა, დააცქერდებოდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩაჯდებოდა. ავადმყოფს თვალები ამღვრეული და ამოწითლებული ჰქონდა. ეტყობოდა, უკანასკნელ წუთებს განიცდიდა და ტკივილებიც საშინლად ტანჯავდა. შევიდა თუ არა ნაილე ოთახში ლოგინისაკენ გაიქცა და დედას ჩაეკრა.

— ნენე, ჩემო ნენე! — დაიძახა მან და აქვითინდა. ემინემ ძალა დაატანა თავს და შვილს გადმოჰხედა, მაგრამ იქავე ახლოს აიშე რომ დაინახა, თითქოს სიკვდილი მოეჩვენაო, ისე დაიღმანჭა და საშინლად



გააჟრჟოლა. აიშემ რა იცოდა რაში იყო საქმე. მას შეებრალა ამხანაგი და ავადმყოფიც. ერთ ხანს იდგა ჩუმად, მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მობრუნდა, გარეთ გამოვიდა და სახლისაკენ გაიქცა. თინა ბინას ალაგებდა, აიშე რომ მივარდა.

— კვდება, დედი, უშველე... კვდება, — ძლივს უთხრა სირბილისაგან აქლოშინებულმა აიშემ დედას ორი სიტყვა.

თინამ ხელიდან ცოცხი გააგდო და შვილთან მივარდა.

— რა ამბავია, ვინ კვდება შვილო?! — შეეკითხა შიშისაგან გაფითრებული დედა.

— ემინე, ნაილეს დედა... კვდება... უშველე! — დელავდა აიშე და თან დედას აჩქარებდა.

თინა დამშვიდდა. ის მიხვდა რაშიაც იქნებოდა საქმე. მას გაგებული ჰქონდა, რომ ემინე უნდა მოლოგინებულიყო, და მისი ავადმყოფობის მიზეზიც გასაგები იყო. მან სასწრაფოდ აიღო საჭირო იარაღები, ზოგიერთი წამლებიც, რომლებსაც ხმარობენ ხოლმე გულწასული ავადმყოფის მოსაბრუნებლად, და აიშესთან ერთად ემინესაკენ წავიდა.

თინას მისვლა არავის სიამოვნებია, გარდა ნაილესა, რომელსაც ცოტათი იმედი მიეცა. მოხუცი დედაკაცები, რომლებიც ლოცვით ირთობდნენ თავს, წამოდგნენ და კუთხეში დასხდნენ, იქიდან ზიზლით გამოხედეს თინას და ერთმანეთს რაღაც წასჩურჩულეს. თინას არავისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ის მაშინვე ემინე-

სთან მივიდა და თვალებში ჩახედა. ის დარწმუნდა, რომ ემინეს სასოება წართმეული ჰქონდა, სასწრაფოდ ჩემოდანი გახსნა, რაღაც წამალი ამოიღო, ჯერ ასუნთქებინა, შემდეგ რამდენიმე წვეთი წყალში შერეული ძალათ დააღვეინა და შეუდგა ავადმყოფის გასინჯვას. ემინეს ძალა არ ჰქონდა, თორემ არ დაემორჩილებოდა ამ მოძალე გიაურის ქალს, მაგრამ ახლა თინა მას არც კი სთხოვდა ნებას, ისე აფათურებდა ხელებს მის სხეულზე. თინამ ყოველგვარი ზომები მიიღო, კანში ნემსით წამალი გაუკეთა, შემოჭერილი ჭინჭები შემოხსნა, სხეულის ზოგიერთი ნაწილი დაუსინჯა და ავადმყოფს ცოტათი სული მოათქმევინა.

— როგორ გრძნობთ თავს? — შეეკითხა თინა, როცა ემინემ თვალები გაახილა და თინას გადმოხედა.

ემინემ ენის მობრუნება ვერ შეძლო.

— არა გიშავთ, მალე მოგარჩენთ, ნუ გეშინიათ, — უთხრა მან ავადმყოფს და მოხუც დედაკაცებს მოუბრუნდა.

— დამეხმარეთ, წყალი გავათბოთ, — უთხრა მან იმათ.

დედაკაცებმა ერთმანეთს შეხედეს და შემდეგ ორივემ ზიზლით გადმოხედა თინას.

— წყალი რას მოუხდება, — გაბედა ერთმა, — მაგისი ქმარი ხოჯასთანაა წასული, შენალოცავ ქალაღდს მოიტანს და მეტი არაფერი უნდა, — უთხრა მან თინას ისეთი კილოთი, თითქოს აგრძობინა, შენ ზედმეტი ხარ, ჩვენ ვიციტ ყველაფერიო,

თინამ მრისხანედ გადახედა მათ.

— რას ამბობთ! ქალი სიკვდილის პირას მიგიყვანიათ, რას არგებს ლოცვები? — გაჯავრებით ესროლა სიტყვა თინამ და ნაილეს მოუბრუნდა.

— ჩვენ გავათბოთ წყალი, — უთხრა მან ბავშვს.

ნაილე დაფაცურდა და წყალის გათბობას შეუდგა.

მოხუცმა დედაკაცებმა თავი შეუწაცხყოფილად იგრძენეს, წამოდგენ, ემინესთან მივიდნენ, თვალთ ანიშნეს მოეშორებია გიაურის ქალი და მისგან დახმარების მიღებაზე უარი ეთქვა. მაგრამ ემინემ მათ ვერაფერი უპასუხა, თუმცა მისი სახე კი ამბობდა: გამეცალეთ აქედან, ოღონდ კი მომარჩინოს და თუნდაც გიაური კი არა, თვითონ ეშმაკი იყოსო.

როცა მოხუცმა დედაკაცებმა ვერაფერი პასუხი მიიღეს ემინესაგან, ბუზღუნით გამოვიდნენ და თავიანთ სახლებში გასწიეს,

სანამ წყალი გათბებოდა, თინამ კიდევ რამდენიმეჯერ გაუკეთა წამლები ემინეს და, როგორც იქნა, ენა ამოადგმევინა.

— რომელმა ღმერთმა მოგიყვანა ჩემთან, — ამოილაპარაკა ემინემ პირველად და თინას შეჰხედა.

— აი ამან, — ღიმილით უთხრა თინამ და იქვე მდგომ აიშეზე ანიშნა.

ემინემ სიყვარულით გადმოხედა თავის მხსნელ პატარას და გულში საშინელი ტკივილები იგრძნო წინანდელი მისი შეხედულების გამო.

— ვეყურბანე (ვენაცვალე) მაგას, — თქვა ემინემ.



ნაილემ რომ დედის დალაპარაკება გაიგონა, სიხარულით ცას მისწვდა. მან ჯერ დედასთან მიიღბინა, გულში ჩაეკრა, შემდეგ მობრუნდა და თინას მუხლებზე მოეხვია.

— შენ გადამირჩინე ნენეი, შენ ხარ ჩვენი მსხნელი, — ამბობდა ნაილე და ეხვეოდა თინას.

ემინეს გადარჩენას კიდევ ბევრი უკლდა. ბავშვი, რომელიც უნდა დაბადებულიყო წინა საღამოს, ცუდი ხელობის წყალობით დამხრჩვალყო და ახლა საჭირო იყო მისი სხვა საშუალებით მოცილება. თინა ამაზე ფიქრობდა.

ხოჯასთან წასული ოსმანი კარგახნის შემდეგ დაბრუნდა. მას არავისთვის ყურა, დღეა არ მიუქცევია, ემინესთან მივიდასაბანი ოღნავ გადახადა და შიგ ქალაღლის ნახევი შეუღვა, რომელიც მისთვის ხოჯას გამოეტანებია არაბული ასოებით აჭრელებული.

ემინემ ქალაღლი გამოიღო და გადააღღო.


ოსმანს გაუკვირდა, მობრუნდა ქალაღლის ასაღებად, მაგრამ ამ ღროს იქვე მჯღარი თინა შეამჩნია და შეჩერდა.

— უკაცრავად, ვერ შევამჩნიეთ, — მოიბოღღიშა მან და თინას მიესაღმა, დავარღნიღი ქალაღლი მაინც აიღო და შეუმჩნევეღად ჯიბეში ჩაიღო.

— ის ქალაღლი რა იყო? — შეეკითხა თინა.

— ლოცვის ქალაღლი იყო, ხოჯას დავაწერიღე, — მორცხვად უბასუხა ოსმანმა, რომელმაც კარგად იცოღა, რომ თინა ასეთ საქმეს არ მოუწონებღა.

— ლოცვები ვერაფერს გააკეთებს, — უთხრა თინამ. — სანამ გვიანი არ არის, წადი და ეკიმს გამოუღახე. თუ შენ ვერ შეღლებ, ჯემალთან გაიქეცი და ის დავეხმარება. ხუღოდან გამოუღახებს, — უთხრა თინამ და აუხსნა, რაში იყო საქმე.



ოსმანი მაშინვე გაიქცა ჯემალთან, ჯემალმაც გამოიღახა ეკიმი, მაგრამ იმ ღროს ის სხვაგან ყოფიღიყო წასული და ვერ მოვიღა.

ისევ თინას უნდა ესაშვალა. მან თავისი ღიასახღისი ნევრასტანი დაიხმარია და მთელი ღამის განმავღობაში მუშაობღა. გამთენიას ხანს, როგორც იქნა, გათავისუღღდა ემინე და ღიღი წვალეღბისა და ტანჯეღბისაგან მოქანცულმა და არაქათგამოღეულმა ტკბიღად მიიღინა.


მეორე დღეს ორჯერ ინახულა თინამ ემინე, რომელიც თავს კარგად გრღნობღა და თინას მშობღებს ლოცავღა მისი აღზრღისთვის.

ნაიღეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონღა. მას ორი ნატვრა ერთად აუსრულღა. დედის მორჩენა და, რაც ყვეღაზე მთავარი იყო, დედის შეხედულეღბის შეცვღა თინასა და აიშეზე. ის სიხარულით ფეხზე არ იღვა, ხან დედას ჩაეხვევოღა, ხან თინას და აბა აიშეს ხომ სულში უღვრებოღა.

ოსმანიც არ იყო ცუღ გუნებაზე. მან თითქოს ღიღი ლოღლი მოიციღღაო, ისეთი სიმსუბუქე იგრღნო, როცა მისი ოჯახიღან ისეთი ბოროტი სულეღბი გადაბარღღენ, როგორიც ის მოხუცი დეღაკაცები იყვნენ, რომელთა წყალობით მის ოჯახს რამღენიმეჯერ წვევია ასეთი უბეღურება.

(გავრღეღება იქნება)

# ერთი ბაყაყი



(იგავი — გამოცანა)

ოქროყანიდან ორმა ბაყაყმა  
 სამოგზაუროდ აიღო კვალი,  
 რომ თეთრგულყელა ახალ ტურისტებს  
 ქალაქ ტფილისი ენახათ თვალით.  
 ეკლიან ბუჩქით დაკაწრულებმა  
 დიდი მანძილი გამოიარეს  
 და, როგორც იქნა, დაქანცულებმა  
 ძლივს მიაღწიეს ტფილისის არეს.  
 ტანჯვით აცოცდენ მამადავითზე  
 და მიაშურეს მყუდრო ალაგსა,  
 უთხრეს ერთმანეთს: „აქ შევისვენოთ  
 და გადავხედოთ დედა-ქალაქსა“.  
 უკანა ფეხზე დადგენ ორთავე  
 და იწყეს უშნოდ თვალების ბრეცა,  
 მაგრამ დახედე უბედურებას,  
 ძმად შეფიცულებს გულს ელდა ეცა.  
 „მითხ. რ, ძმობილო, აბა რას ხედავ  
 და საიმედოს თუ რამეს იტყვი?“

„მე იმას გეტყვი, რომ ეს ქვეყანა  
 მატყუარაა, ბეცი და ბრიყვი.  
 ხედავ იმ ჭაობს, ხედავ იმ მინდორს,  
 სადაც პირველად შეგხვდი ძმობილად?  
 ახლა ვრწმუნდები, რომ ეს ტფილისი  
 და ოქროყანა ერთი ყოფილა.  
 აბა საჩქაროდ დავეშვათ თავქვე,  
 ოქროყანისკენ წავიდეთ უკან,  
 თუმცა ახია, ამ სიბრიყვისთვის  
 რომ გავხდეთ ორთავ გველების ლუკმა“.  
 იბრუნეს პირი და მიაშურეს  
 კვლავ იმ ჭაობსა, სადაც შობილან,  
 დღე-ღამ ყიყინით მღერენ: „ტფილისი  
 და ოქროყანა ერთი ყოფილა!“  
 პიონერებო! ეს საიდუმლო  
 ჩვენ დავამთავროთ ამრიგად ახლა,  
 თუ ვერ გაიგოთ, მაშინ კი ყველამ  
 შემდეგ ნომერში იხილეთ ახსნა.



# ვანო და ზაქრო



კომპოზიტორი ზ. თალიაშვილი

ხელოსანია, დღე და ღამე მუშაობს და ხომ ხედავთ, როგორ ვცხოვრობთ, ბავშვებიც ცოტანი არა ხართ...

— დედა, მე ძალიან ვიმეცადინებ, უფულოდ მასწავლის ვინმე...

— კარგი, შვილო, ეცადე...

— დედა მეც ვეცდები, — ცმუტავს პატარა ზაქრო, — მეც მუსიკოსი გამოვალ, — და თავმომწონედ გადახედა თავის უფროს ძმას. დედამ ორივე ვაჟი გადაკონა.

\*\*

მიდის ვანო დაფიქრებული. მას ფეხის ხმა მოესმა, მიიხედა უკან და ზაქროკი მისდევს.

— ზაქრო, სად მიდიხარ?

— შენთან,

— შენ იცი, სად მივდივარ?

— ფელიქს მიზანდართან.

— მერე, შენ რა გინდა?

— მინდა ის ვნახო და გავიგო რას გვეტყვის,

ვანომ ღიმილით თავი დაუქნია და ორივე ძმა გზას გაუდგა ისინი ერთი პატარა სახლის წინ გაჩერდნენ, ზარი დარეკეს და

ნახევრად ბნელ და ღარიბულად მორთულ ოთახში მაგიდაზე დგას პატარა სანათური. ლოგინთან აკვანია ბავშვით, დედა გვერდით მისჯდომია და ჩონგურზე ნანინას დამღერის. დედის წინ დადუმებული დგას თმახუჭუჭა. შავთვალა მწლის ვაჟი. მეორე მხრიდან დედას მიჰკვრია პირველისავე მსგავსი მწლის ვაჟი და თვლებგაბრწყინებული აღტაცებით უგდებს ყურს დედის ნანინას.

დედამ ნანინა გაათავა და ახლა სხვა პანჯზე ააკვნესა ჩონგური. მისმა ტკბილმა ხმამ და ჩონგურის სიმების წკრიალმა გაიტაცა მომღერალიც და მსმენელიც. მუსიკა შეწყდა.

— დედა! — შესძახა უფროსმა ვაჟმა — მე მიყვარს მუსიკა, მინდა უთუოდ მუსიკოსი გამოვიდე!

— მეც, მეც! — შეჰყვირა უმცროსმა ვაჟმა.

— რა, შვილო, შენცა?

— მეც მინდა, მუსიკოსი გამოვიდე...

— კარგი, ჩემო კუდრაჭა, შენც, მაგრამ როგორ შევსძლებთ, შვილო, სწავლას ფული უნდა, ნამეტურ მუსიკის სწავლა უფრო ძვირად ჯდება. მამათქვენი ღარიბი



ღირიყორი ვ. თალიაშვილი.

კარი გაიღო. მათ წინ შემოეგება თვითონ ფელიქს მიხანდარი, ცნობილი პიანისტი.

— ყმაწვილებო, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ჩვენ ფალიაშვილები ვართ, — უპასუხა ვანომ.

— ძლიერ კარგი, რა გნებავთ?

— მე... — შეჩერდა ვანო.

— მაგას უნდა როიალზე დაკვრა ასწავლოთ, — განმარტა ზაქრომ.

— კეთილი, უპასუხა მიხანდარმა.

— მაგრამ... შერცხვა ვანოს, დაიბნა.

— მაგრამ ჩვენ ფული არ გვაქვს, — მიეშველა ზაქრო, — გავიზრდებით, ვიშოვით და მოგართმევთ.

— ხა-ხა-ხა!

გულიანად გაეცინა ფელიქსს.

— მე უფულოდ გასწავლით ორივეს, ჩემო გვრიტებო, თუ ნიჭი ამოგაჩნდებათ და მეცადინობაც თუ გეყვარებათ, ფულზე ნუ ვილაპარაკებთ. თუ კარგი მუსიკოსები გამოხვალთ, მეც მასახელებთ და თქვენ თავსაც.

მიხანდარმა გამოცადა ორივე ძმა. ის მათ ნიჭს გაეცნო, დრო დაუნიშნა, თუ როდის უნდა ევლოთ სამეცადინოდ.

\* \* \*

ვანო ჩემოდანში აწყობს ნივთებს და ტფილისში წასასვლელად ემზადება. უცებ შემოდის ზაქრო.

— ვანო, შენ ტფილისში მიდიხარ, მე როგორ დავრჩე აქ მარტო?!

— მე ხომ გავათავე აქ სწავლა, მიხანდართან, ამ ორ წელში შენც გაათავებ. მერე ტფილისში მოგაწყობ, ნუ წუხარ, ოღონდ შენ სიმკვირცხლეს და მუყაითობას ნუ უკლებ.

ვანო ტფილისში ჩამოდის.

ის მუსიკის სასწავლებელში მიებარა, რომლის გამგე მაშინ იყო ცნობილი კომპოზიტორი იპოლიტ-ივანოვი. შემდეგ სწავლობს გამოჩენილ მუსიკოსთან ხარკოვში, სუკთან, პეტერბურგში რიმსკი-კორსაკოვთან.

ზაქარია უჯერებს ძმას. ის თვითონაც სწავლობს და სხვასაც ასწავლის, უძღვება, ჩქარობს ძმასთან წასვლას, რომ ერთად იმეცადინონ, ჩამოდის ტფილისში. ვანო ამდროს უკვე სწავლა დამთავრებულია, უკვე დირიჟორია. ზაქარია შედის მუსიკალურ სასწავლებელში და ამავე დროს საზოგადო საქმეში იღებს მონაწილეობას. მართავს კონცერტებს ავტალისა და ნაძალადევის აუდიტორიაში, მონაწილეობას იღებს ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაში. ძმები მეორედ დაშორდენ ერთმანეთს. ჯერ ვანო მიდის დირიჟორად რუსეთის დიდ ქალაქებში, სადაც კი ოპერა იდგმოდა, მერე ზაქარია მიდის მოსკოვში (1900 — 1901 წ.), სადაც კანსერვატორიას ათავეებს წარჩინებით და ბრუნდება ტფილისში. აქ ასწავლის სიმღერას და მუსიკას ქართველ ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში, შემდეგ ფილარმონიულ სკოლაში. 1909-1920 წ. ინიშნება ჯერ პროფესორად, შემდეგ რექტორად ამ სკოლაში.

უაღრესად კმაყოფილი იყო ზაქარია 1918 წ., როდესაც დაიდგა მისი „აბესალომ და ეთერი“, პირველი ქართული ოპერა. ამ ოპერამ დამსწრე საზოგადოება გაიტაცა. მას აქეთ 300-ჯერ დაიდგა. ამ ოპერით ზაქარიამ მკვიდრი ნიადაგი ჩაუყარა ქართულ ნაციონალურ ოპერას. შემდეგ დაწერა „დაისი“, „ლატავო“...

ვანოს ესმის ძმის წარმატება და მოეშურება ტფილისისაკენ 1921 წელს. ძმები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს და ერთად მუშაობას განაგრძობენ, — ზაქარია, როგორც კომპოზიტორი და ვანო, როგორც უფროსი დირიჟორი.

ვანო დინჯი და დაკვირვებული იყო. ზაქარია უფრო ცქვიტი, სახემციინარე, ვერცხლის წყალივით მოძრავი, ვერ ჩერდება ერთ ადგილას და მუდამ საქმიანობს...

\* \* \*

ვანო ძმის სიკვდილის გამო დიდ მწუხარებაში ჩავარდა. იგი ზაქარიას გარდა-

ცვლის ხუთი თვის შემდეგ გარდაიცვალა 1934 წ. 7-მარტს.


მათ დატოვეს მომზადებული მუშაკნი ახალგაზრდათა შორის თავიანთ ასპარეზზე. ამ ახალგაზრდობამ ფიცი დასდო მათი ცხედრის წინაშე, რომ შეუჩერებლივ განაგრძობენ ფალიაშვილების გზას და მით უკვდავყოფენ მათ სახელს.

1921 წლიდან ორივე ძმამ გასაბჭოებულ საქართველოში, რომ დაიწყო მუშაობა,

ეს საბჭოთა ხელისუფლებამ დაათვალი დააჩქარა ოპერა „დაისი“ „ლატავრა“ და სხვა რომანსები სახელმწიფო ფონდში გამოაცხადა. ამ ფონდიდან დაენიშნათ ლარიბ და ნიჭიერ მოწაფეებს სტიპენდია — ნ ქართველს ვ სომეხს და ერთს კიდევ ლენინგრადში.

ვანოს სახელობაზე ორი სტიპენდია დაინიშნა და ერთ მუსიკალურ სასწავლებელს მისი სახელი უწოდეს.

მ. მ-მ



გახსოვთ, ალბათ, მეგობრებო, ქვიშხეთი და კიდეც ცემი, მტკვრის ნაპირი, წყაროს წყალი. აშოლტილი მწვანე მთები... რამდენ ხალისს დაგინერგავთ გაზაფხულზე ბანაკები და შემდეგ კი სასწავლო წელს ფოლადოვან კუნთით ხვდებით. რა ხალისი, რა გართობა! გული ხარობს, გული მღერის! ჯანსაღია ირგვლივ სუნთქვა, ჯანსაღია ყველაფერი! სისხამ დილას წყაროს წყალზე, შემდეგ მწკრივში მკლავის გაშლა...

აი, დროშაც აღიმართა და დასძახებას რიგი „ვაშას“, შემდეგ — ბანაკს გეგმის გარდა ერთი წუთიც არ ეკარგვის: ექსკურსია, წიგნის კითხვა, მუშაობა მრავალ დარგის. შემდეგ ისევ ბავშვთა რიგის კვლავ ატყდება ქრიამული. ჰა, თამაშიც გააჩაღეს და გოგონა ლეკურს უვლის. წელსაც ისევ სიხარულით ვნახავთ ნაძვნარს და მწვანე მთებს, ვნახავთ ქვიშხეთს, ვიბანაკებთ, ვნახავთ ნაცნობ ამხანაგებს...

ილ. გოგია

წვეტიანი ჯალოქარი

(გამოცანა)

ხელთ ავიღე მცირე ჩხირი წვეტიანი და შავგულა (საქმე ვქენი გასაკვირი, რაც ძველ დროში არ ნახულა!)

და ჩემ საწერ მაგიდაზე ციხე-კოშკი ავაშენე, ზედ გუმბათიც გადავადგი, ჩუქურთმებით დავამშვენე!

მცირე ეზო შემოვფარგლე  
ნაირ-ნაირებით სავსე,  
რაც-კი მსურდა, ყველაფერი  
იმ ეზოში მოვათავსე.  
ზღვაში გემი შევაცურე  
და ტალღებიც ავაგორე,  
მთა-მთად დავდგი, ვაკე-ვაკედ  
გადავშალე, გავასწორე.  
მინდორ-ველი ავაყვავე,  
ავაცურე ღრუბელთ მთვარე,  
მთაზე თოვლის ზღვა გავშალე  
მზის სხივებიც დავაყარე.  
გავამქლავნე გულის მთელი  
აზრი, გრძნობა დაფარული  
და მომავალს ვუანდერძე  
ჩემი აწმყო და წარსული.

რა ქალაქი, რა სოფელი,  
სად, ვის რა არ დავანახე.  
დრო და სივრცე შევამოკლე,  
დრო და სივრცე გადავლახე!  
დღეს ვგ ჩხირი უცნაური,  
წვეტიანი ჯადოქარი  
ყოველ სკოლის მოწაფისთვის  
ხშირად არის მოსახმარი.  
და თქვენც გიყვართ იგი როგორც  
განუყრელი მეგობარი.  
ძველად კი ის არ იცოდენ,  
ველურებში არც დღეს არი.  
დაუკვირდით გამოცანას,  
მისი ახსნა აქვე არი.  
და ვინც ამას გამოიცნობს,  
ჯილდოდ ხვდება რვა ფანქარი.

პ. მან.



აბა ერთი წუთით თვალი გადაავლეთ  
საბჭოთა კავშირის რუკას: ჩვენი ქვეყნის  
ცენტრიდან, მოსკოვიდან, აღმოსავლეთით  
გადაჭიმულია ქვანახშირითა და ძვირ-  
ფასი მადნებით მდიდარი უზარმაზარი  
ტერიტორია. დაუღვევლ სიმდიდრეს:  
რკინას, ნახშირს, სპილენძს, ოქროს და  
ალუმინს ინახავს თავის გულში ურალის  
მთები, კუზბასის წიაღი და მუდამ ცივი  
ციმბირი. ამ მხარეში ათასი კილომეტ-  
რის მანძილზე გაწოლილია გაუვალი  
ტყეები ძვირფასი ხეებით.

— ციმბირი!

ვის არ გაუგია, ეს პატარა, მაგრამ  
ბევრის მთქმელი სიტყვა! ამ სიტყვის გა-  
გონება დიდსა და პატარაში შიშსა და

ზიზღს იწვევდა. ჩვენს მამებსა და დედებს  
ეს სიტყვა ახლაც აგონებს მწარე წარ-  
სულს, როდესაც მეფის მთავრობა ციმბი-  
რისაკენ ისტუმრებდა ათასობით რევო-  
ლუციურ მუშებს და გლეხებს.

რამდენი რევოლუციონერი შეუწირავს  
ციმბირის სუსხიან ბუნებას? რამდენი  
მებრძოლის გული გაუყინავს ციმბირის  
ველურ ყინვებს! ვინ მოთვლის!

ასეთი იყო ციმბირი, რომელსაც მეფის  
მთავრობა მთელი 300 წელი მხოლოდ  
რევოლუციონერების დასჯის იარაღად  
იყენებდა!

მაგრამ ასეთი არ არის ციმბირი დღეს  
ოქტომბრის შემდეგ ციმბირმაც გამო-  
იცვალა თავისი სახე!

პირველი ხუთწლედის წლებში ბოლშევიკების ნებისყოფით ციმბირი და მისი მეზობელი ურალი საბჭოთა კავშირის მოწინავე ინდუსტრიალური რაიონების რიგებში ჩადგა. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის წლებში პარტიამ მიზნად დაისახა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთით შეექმნა მეორე მეტალურგიული ბაზა — ურალ-კუზბასის კომბინატი.

პირველი ხუთწლედის პერიოდში ციმბირსა და ურალში აშენდა ათეული ახალი წარმოება-გიგანტები, რომელთა ბადალი მთელს მსოფლიოში არ მოიპოვება. ამ ახალ გიგანტებს შორის არიან: მეტალურგიული ქარხნები კუზნეცკში და მაგნიტოგორსკში, მანქანათმშენებლობის ქარხანა სვერდლოვსკში და ტრაქტორის ქარხანა ჩელიაბინსკში. იქ, სადაც ველური მინდვრები, ხრიოკი გორაკები და უდაბნოები იყო, წამოიძარბნენ ახალი სოციალისტური ქალაქები ათიათასი მცხოვრებლებით. ასეთი ქალაქებია:

მაგნიტოგორსკი, კუზნეცკი და ბერეზნიკი. ასეთი სახით გამოიყურება დღეს განახლებული ციმბირი და ურალი!

ძველი მეფის ციმბირი და ურალი ახლა, სოციალისტურ, ინდუსტრიალურ ციმბირად და ურალად იქცა, და ყოველივე, ეს ბოლშევიკებმა თითქმის მხოლოდ პირველ ხუთწლედში შექმნეს.

როგორია ხვალინდელი სახე დღევანდელი ციმბირისა და ურალისა? რა გაკეთდება მეორე ხუთწლედის განამავლობაში ამ უზარმაზარ მხარეში?

მეორე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში — ციმბირისა და ურალში — გაიშლება კიდევ უფრო გრანდიოზული მშენებლობა!

მეორე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ურალ-კუზბასის მშენებლობისათვის გაღებულია მთელი მძიმე მრეწველობის ბიუჯეტის ერთი მესამედი. მეორე ხუთწლედის ბოლოს ციმბირისა და ურალის მეტალურგიული ქარხნები ჩვენ ქვეყანას ყოველწლიურად მისცემს 6 მილიონ ტონა თუჯს ე. ი. 3-ჯერ ძველს, ვიდრე დღეს იძლევა ეს ქარხნები.

მეორე ხუთწლედის გეგმაში გათვალისწინებულია დაწყებული ქარხნების მშენებლობის დამთავრება მაგნიტოგორსკში, კუზნეცკში და ქვედა ტაგილში. გარდა ამისა, განზრახულია ახალი მეტალურგიული გიგანტების აგება, როგორცაა ზაბაიკალის მეორე კუზნეცკის და შორეულ აღმოსავლეთის ქარხნები.

ამ წლებში გიგანტ მაღაროების რიცხვს მივმატება კუზნეცკის ქვანახშირის ბასეინის, კიზელის, ჩელიაბინსკის, ემანუელიანსკის მაღაროები. ნახშირს ამ მაღაროებიდან ამის შემდეგ ურალ-კუზბასის ქარხნები მიიღებენ.

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ურალის ქარხანა, რომელიც აშენდა პირველ ხუთწლედში, მთელი დატვირთვით მეორე ხუთწლედში იმუშავებს.

იგი ჩვენი ქვეყნის ქარხნებსა და ფაბრიკებს მისცემს ბრძმედების მოწყობილობებს, დაზგებს, იარაღებს და ბლიუმინგებს,

ქ. ტაგილში აშენდა ვაგონების ქარხანა, რომელიც წელიწადში ტრანსპორტს მიაწვდის 54 ათას ვაგონს.

აშენდა ავტომობილების ქარხანა უფაში, სვერდლოვსკში.

ახალი შუა ურალის ქარხანა მოგვცემს სპილენძს.

ალტაისა და ჩელიაბინსკის ქარხნები — ცინკს.

უფის ქარხნები — ნიკელს.

იაკუცკის ქარხნები — ოქროს. ქიმკომბინატი ქალაქს. ურალისა და ციმბირის მდინარეებზე ათეული ახალი ელექტროსადგურები წამოიჭიმება. ისინი ელექტრო ხაზების საშუალებით ელექტროენერგიით გამოკვებავენ ხუთწლედის გიგანტებს. ახალი რკინისგზები შეაერთებს ერთმანეთთან აკმოლინსკს მაგნიტთან, მაგნიტოგორსკს უფასთან, უფას სტერლიცკთან, ზაბაიკალიეს ამურთან და ციმბირის მთელ რიგ მივარდნილ ადგილებს დააკავშირებს მრეწველობის ცენტრებთან.

# სიხარულისა და სიცილის სკექტაკლი

მოზარდ მკვლევართა თეატრი. „გამომგონებლები“

დადგმა — ს. ჭელიძისა  
მხატვარი — ელ. ახვლედიანი  
მუსიკა — ვ. შავერზაშვილისა

ამ წლის სეზონი მ. მ. თეატრისათვის ყოველმხრივ საინტერესო იყო. პირველყოვლისა აღსანიშნავია მ. მ. თეატრის წლის იუბილეს გადახდა, მეორეც ისეთი საინტერესო პიესის დადგმა, როგორცაა ს. მთვარაძის „სურამის ციხე“

მთელი სეზონის მიმოხილვა შემდეგისათვის გადავდოთ, ამ წერილით კი მინ-

და ჟურ. „პიონერის მკითხველებს ველაპარაკო მათთვის სიხარულისა და სიცილის წარმოდგენაზე. ეს არის „გამომგონებლები“,

შინაარსი ამ პიესისა მეტად მარტივი და სადაა. მოწაფეები მუშაობენ გამომგონებლობაზე. მათ დიდი სურვილი აქვთ მარსზე გაფრენისა. მთელი მათი სახელოსნო, რომელიც გონებამახვილურად საწოლქვეშ აქვთ გამართული, ისეთ იარაღებისაგან შედგება, რომლითაც ისინი მიზანს მიაღწევენ.


მაგრამ საგრძნობლად ჩქარობს პატარა რემი, ამიტომ თავისი ამხანაგები „გააპაპულავენ“. მოაწყობენ ისე, თითქოს მართლა არის შესაძლებელი რემის გაფრენა მარსზე: მოამზადებენ მას ტყავის ტყაპუჭით, ტყავის ქუდით, დიდრონი წაღებით, ბინოკლით და აიყვანენ თავიანთ სახლის სახურავზე. მას გაუმართავენ გაცილების ზემს სიტყვებით, ჩასვამენ დიდ კალათაში და ვიდრე ის ამოძვრება ეს ყმაწვილები მოაწყობენ სახურავს სხვადასხვა უცნაური ხეებით, მცენარეებით რემის ჰგონია მართლა მარსზე აფრინდა. ჯერ გონს ვერ მოსულა, რომ თავს წამოდგება უზარმაზარი ნიღაბები, უცნაური ბურტყუნით. რემის ჰგონია ეს „მარსელები“ მუცლით ლაპარაკობენ“. საშინლად შეეშინდება, მაგრამ რემის მდგმურის (რომელსაც, ალბათ, ჭერიდან ჩაესმა ჟრიამული) დახმარებით გამოაშკარავდება, რომ რემი მოატყუეს.

თუმცა ამის შემდეგ კიდევ ოცნებობენ მარსზე გაფრენას. „იგონებენ“ ასაფეთქებელ ნივთიერებას (ჰიდროგლიცერინს), რომელიც უნდათ მიიღონ შაქრისა და ნიშადურის მოღუღებით. ასეთ „საწამლავს“



მოზ. მაყ. თეატრის რეჟისორი. ს. ჭელიძე.

ცნობისმოყვარეობით დალევს მოსარეცხის შვილი თინა. ბავშვებს ჰგონიათ, რომ თინა მოიწამლა, ამიტომ კოწო და მიტო გადაიკარგებიან, სანამ „დაიჭერენ“, როგორც დამნაშავეებს, ხოლო რემი რჩება სახლში. მოსარეცხე ღრიალით მოდის რემის სახლში, რათა თავისი უბედურება — ბალიშის პირის დაკარგვა — უთხრას რემის დედ-მამას, მათ კი ჰგონიათ, რომ თინა მოუკვდა.



აერევიან საერთო მუშაობაში, რათა პატარა ედისონები გამოვიდნენ.


გარდა ამ პირებისა, პიესაში სხვა პერსონაჟიც არის გამოყვანილი: რემის დედ-მამა, დეიდა. ეს უკანასკნელი ყველაზე გამოკვეთილი პირია, ჩვენი დროის „კაროუნა“, რომელიც ოპერით არის გატაცებული.

პიესის დამდგმელი ს. ჭელიძე მეტად კულტურული, ნიჭიერი და შესაფერისი რეჟისორი გამოდგა მ. მ. თეატრისათვის. მისი პირველი დადგმა „მ მილიონი ავტორი“ მეტად გამართული სპექტაკლი იყო და „გამომგონებლები“-თ კი დაამტკიცა არა მარტო თავისი უნარი, არამედ მოკლე დროში აულო მ. მ. თეატრს გეზი, მაყურებელს დაუყენა საინტერესო პრობლემები, დააფიქრა, წახალისა, აღაფრთოვნა, შეუქმნა მხიარული განწყობილება, და შრომის უნარი გაუღვიძა.



ბოლოს ყველაფერი ნათელი გახდება. ბავშვები კი ბრონეკის (მდგმური დეპოს მუშა-გამომგონებელი) ხელმძღვანელობით სერიოზულ მუშაობაზე გადადიან.

პიესაში კარგად არის დაპირისპირებული, ერთი მხრივ ბავშვები, რომელნიც მოდელების გაკეთებაზე სერიოზულად მუშაობენ, მეორეს მხრივ გადაჭარბებული ფანტაზიით შეპყრობილი ბავშვები, როდესაც ესენი დაინახავენ, რომ ასე ადვილად შეიძლება მარსზე გაფრენა, თავიანთ თავს „სულელებს“ უწოდებენ და



ამიტომაც სულ მცირე დროში ს. ჭე-  
ლიძე გახდა საყვარელი რეჟისორი მ. მ.  
თვატრის აუდიტორიისათვის. ამას ამტ-  
კიცებს ბავშვების გულთბილი შეხვედრა  
მასთან.

რეჟისორისა და მხატვრის მიერ საუ-  
კეთესოდ არის გაკეთებული მთელი დე-  
ტალებით მეორე სურათი:

მთელი სცენა, რემის გასაფრენი კალა-  
თი ბუშტებით, ბავშვების ორკესტრი,  
უცნაური ხეები, მცენარეები, თავისებუ-  
რი და საინტერესო ნიღაბები, რამაც  
უცნობი პლანეტის — მარსის — შთაბეჭდი-  
ლება უნდა შეუქმნას რემის, გვეონია,  
მაყურებლისათვის დაუვიწყარი იქნება.

რაც შეეხება მსახიობებს, იმაში ეჭვი  
აღარავის შეეპარება, რომ მ. მ. თვატრს  
ჰყავს დიდი შესაძლებლობის აქტიური  
ძალები.

„გამომგონებლები“-ს მხატვრული გა-  
ფორმება, რომელიც ეკუთვნის ელ. ახვლე-  
დიანს, შესრულებულია არა მარტო დიდი  
მხატვრული გემოვნებით, სისადავით, არა-  
მედ მთელი გაფორმება არის მდიდარი  
ფერებით, რომელიც იძლევა გაზაფხულის  
სურნელებას, იძლევა ძლიერ სიხარულს  
ისეთს ხაზებში, როგორც ამას გააკეთებ-  
და თვითონ ბავშვი.

## გიორგი კალანდაძე

### ივლისის მზე

ზაფხულია, ბული ახრჩობს  
აღმურიან გზებს,  
ნეტავ ასე რად კაპასობს  
ეს ივლისის მზე?  
ზოგმა ხის ჩრდილს მიაშურა.  
ზოგმა კიდევ სახლს,  
ჩვენებიანთ ძაღლი მურა  
დასიცხული ჩანს.  
ციდა ენა წაუგდია,  
არ შორდება კარს...  
ო, ისეთი ცხელი დღეა,  
მხურვალ თონეს გავს.  
ზოგიც აბა რას დავიდევთ  
ამ კბენია მზეს!  
კოლექტიველ გოგო-ბიჭებს  
კარგად ესმით ეს:  
წყლის ნაპირას, სად რიყეზე  
ცხელი სიო ქრის,

მოთეთრო და სუფთა ქვებზე  
გაწოლილან ძირს...  
რომ სიმკვრივე შეუმატონ  
ახალგაზრდულ ტანს,  
მზის სხივებით დაფარულნი  
იშავებენ კანს.  
თან მღერიან; „შეგვემატოს  
მხურვალეობა მზის,  
მის სხივებში ბანაობა,  
ჯანმთელობად ღირს.  
წყლის ნაპირას ხვარტი წვება,  
პაპანება დგას,  
მაღლით სხივი იკბინება,  
დაბლით ცხელი ქვა.  
ზაფხულია ბული ახრჩობს  
აღმურიან გზებს,  
ნეტავ ასე რად კაპასობს  
ეს ივლისის მზე!?


### ტანგრამები

შედგენილი: ნ. ნაპაშიძის მიერ

ტანგრამები ჩინური თამაშობაა. ათას  
წელიწადზე მეტია, რაც ჩინეთში ამას  
თამაშობენ.


ჩინელებს ტანგრამი მარტო გასართო-  
ბად არ მიაჩნიათ, ისინი უფრო თვალსაჩი-  
ნო სწავლების მნიშვნელობას აძლევენ მას.





ნახ. 3.


ნახ.



რაში მდგომარეობს ეს თამაშობა? აიღეთ მუყაოს ნაჭერი, შემოხაზეთ სწორი ოთხკუთხედი, შემდეგ გაყავით ეს ოთხკუთხედი შვიდ ნაწილად, როგორც ნახატზეა ნაჩვენები (№ 1). გამოვა სამკუთხედები — ორი დიდი, ერთი საშუალო და ორიც პატარა, ერთი კვადრატი და ერთი პარალელოგრამი. უნდა გამოჭრათ ეს ნაწილები და გააფერადოთ რა ფერადაც გსურთ. უმჯობესია მუქი ფერი აიღოთ.

ამ შვიდად დაჭრილი კვადრატისაგან შეგიძლიათ აუარებელი ფიგურა გააკეთოთ. სწორედ საუცხოვო მასალაა სხვადასხვა ფიგურების გამოსაგონებლად.

სცადეთ გამოიყვანოთ ცხოველების ტანგრამული ფიგურები. ყოველი ფიგურის გამოსახვისათვის უნდა მოიხმაროთ ოთხკუთხედის ყველა შვიდივე ნაწილი, როგორც ჩვენ მაგალითებზეა ნაჩვენები



ნახ. 2.

(ნახ. 2, 3, 4). პირველი ნახატი სახავს იხვს, მეორე — სირაქლემას, მესამე — კენგურუს.

პიონერებო! სინჯეთ გააკეთოთ სხვა ცხოველების ფიგურებიც. უფრო საინტერესო ფიგურას ჟურნალში მოვათავსებთ. ტანგრამული ფიგურები უფრო რთული და ბევრად უფრო საინტერესო კეთდება, თუ კვადრატს დაანაწილებთ 14 ნაწილად. თუ ეს თამაშობა თქვენთვის საინტერესო იქნება, მაშინ მოვიყვანთ ნიმუშებს.

# მ ა ი ს ო ზ ა



მუსიკა—თ. შავერზაშვილის

ტექსტი—ა. მაშაშვილის

*Moderato*

I bass

II *mf*

III

*mf*

*cres.*

მხნე სიმ-ღერით ა-ლისფერი ყაღღა მოჩანს

მხნე სიმ-ღე-რით

შე მოვ-დივართ მხნე სიმ-ღე-რით ა-ლისფერი ყაღღა მოჩანს

ჩვენ ჰყარა ლე-ნი-სე-ჯეს ჰე ბე გა მის ჰე ბი მოგვაქვსაი.

ჩვენ ჰყარა ლე-ნი-სე-ჯეს მოგ-ვაქვს ღრით შა

ჩვენ ჰყარა ლე-ნი-სე-ჯეს გა მის ჰე ბი მოგ-ვაქვს ღრით შა

და მას ვმღერით: „ჩვენ ვართ შვილნი  
 მთელი ქვეყნის პროლეტართა,  
 უშიშრად ვივლით, ვივლით,  
 ქარში და ავდართან.  
 და ვუმღერით ბრძოლის ხალისს,  
 და ვუმღერით შრომას დიადს;

გაუმარჯოს პირველ მაისს,  
 მშრომელთ მზესა და განთიადს  
 ჰა, მოვდივართ მხნე სიმღერით,  
 ალისფერი ტალღა მოჩანს,  
 ჩვენ, პატარა ღენინელებს,  
 გამარჯვების მოგვაქვს დროშა!“

# ახალი წიგნები



საქ. სახელგამის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის განყოფილებამ უკანასკნელ თვეში გამოსცა რიგი საუკეთესო წიგნებისა, რომელნიც შინაარსით და მხატვრული გაფორმებით საინტერესონი არიან ჩვენი ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის. მათგან ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ სამ წიგნს: გ. კაჭახიძე — „ჩემი ძმა“, ფრ. ნაროუშვილი — „როინი“ და ილ. მოსაშვილი — „როზვა ჩაფარი“.

გ. კაჭახიძე. საქართველოში საკმაოდ ცნობილი პროლეტარული მწერალია. მისი თითოეული ლექსის სტრიქონი სავსეა პოეტური სიმბავით, უმაღლეს მხატვრობით და ნამდვილ განცდებით. გ. კაჭახიძე ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის ფრონტზე საქართველოში მოწინავეთა პირველ რიგებში დგას. ის ჩვენი ბავშვების უსაყვარლესი მწერალია და მასაც უყვარს ჩვენი ბავშვები, ყურს უგდებს მათ მოთხოვნილებებს, ფსიქოლოგიურ განცდებს და თავისებურებებს. მის თითოეულ ლექსში ეს იგრძნობა. ამჟამად გამოვიდა მისი წიგნი „ჩემი ძმა“, რომელიც თავიდან ბოლომდის აგებულია ჩვენი ახალგაზრდობის და ბავშვების ცხოვრების ცალკეულ ყოველმხრივ საინტერესო თემებზე.

ამ წიგნის მეორე ლექსში პოეტი მთელი დამაჯერებლობით წერს, რომ

თუმცა მაღინჯებს ჩემი კაცობა  
არ შემოდია ვიყო ბავშვივით  
მინც მახარებს ბავშვის გაცნობა  
მასთან შრომა და მასთან კავშირი.

ხმა და სიცოცხლე მისი უბვია  
უყვარს ფიქრების ცისკვეშ გატანა  
ვტკბები ყოველთვის როცა გულლიად  
ატიტინდება ჩემს წინ პატარა.

წიგნში მოცემულ 32 ლექსიდან ყველა იკითხება უდიდესი ინტერესით. ჩვენი ახალი თაობა უნდა იცნობდეს მის საკუთარ საყვარელ მწერლის და მეგობრის გ. კაჭახიძის მთელს შემოქმედებას. „პიონერის“ № 10 მიეძღვნება გ. კაჭახიძის შემოქმედებას.

ფრ. ნაროუშვილის ლექსებით და უმთავრესად კი პოემებით ჩვენი ქართული პროლეტარული პოეზია საკმაოდ გამდიდრებულია. მისი პოემების დიდი უმრავლესობა გარდა დამოუკიდებელ მხატვრულ გამოცდებისა ახალგაზრდა მკითხველთათვის ცნობილია უამრავ სახელმძღვანელოებში. ახლა ხომ იშვიათად გამოჩნდება ახალგაზრდა, რომელმაც ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები ზეპირად არ იცოცეს. ქართულ საბავშვო ლიტერატურის ერთ სერიოზულ მიღწევათაგან უნდა აღინიშნოს ფრ. ნაროუშვილის დაწერილი წიგნი „როინი“-ს გამოცემა. „როინი“ პოეტის გაშლილ შემოქმედებითი ფანტაზიის და მდიდარი მხატვრულ გემოვნების ნიმუშია. აქ მოცემულია ლეგენდარული ზაბუა, რომელიც როინის დინების ისტორიულ-შორეულ და აწმყო ცვალებადობის ირგვლივ ზღაპრულ სიღარბაისლით ემსახურება პიონერ შვილიშვილს. წიგნი დაწერილია განსაკუთრებული თავისებური სიახლით. გამოცემულია უმაღლეს ბარისხის ქალღმერთზე, საუკეთესოდ გაფორმებულ ყდით მხატვარ ს. გაბაშვილის შესრულებით და გრაფიურით.

ილ. მოსაშვილის ამ ორი წლის წინად დაწერილი საბავშვო წიგნი „თოლია“ სასწრაფოდ იქნა გასაღებელი. ახლა ბაზარზე ეს წიგნი აღარ მოიპოვება. ამ ორ წლის მანძილზე ილ. მოსაშვილის ახალი ნაწარმოები ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის დარგში მკითხველებს აღარ უნახავთ. ამჟამად გამოიცა მისი წიგნი „როზვა ჩაფარი“. ამ წიგნში მოცემულია საუკეთესო მხატვრული ენით მეფისდროინდელ სოფლის წურბელის ჩაფრის თავაშვებული თარეში და უდანაშაულო გლეხების აწიოკება. ეს ჩაფარია, ქურდი და ყოვლად ზნედაცემული როზვა, რომელიც სოფლის მიერ მოძულებული და საზიზოარი აღამიანი ნაცვლად დასჯისა დაწინაურებულ იქნა ჩაფრად. მისი თავაშვებული მოქმედება თავდება მით რომ, როცა მოდის სოფლის ასაწიოკებლად მგლები დახვდებიან ვზაში, ერთს მოკლავს და ცხენზე გადაკიდებს, შემდეგ კი მგლები გადმოიღებენ ცხენიდან, ნაკუწ-ნაკუწად დაჰგლეჯენ, ცხენი გაიქცევა, ხოლო ჩაფარ როზვისგან დაარჩება მხოლოდ დახრული ძვლები. გაფორმებულია საუკეთესო სურათებით და ყდით მხატვარ ილ. ახლოდინის მიერ. ეს წიგნები უნდა წაიკითხოს ყველა ბავშვებმა და მათი აზრი გადმოუზავნონ ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის განყოფილებას, რომელიც უახლოეს დროში უშვებს მთელ რიგ წიგნებს.

მკითხველი

ფასი 75 კპპ.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური  
ბიუროს და განათლების სახალხო კო-  
მუნისტების შუამდგომლობის



წელიწადი  
IX  
კიონეპრი  
წელიწადი  
IX

გამოდის თვეში ერთხელ

ყოველგა  
კიონეპრი  
უნდა  
გამოიყვაროს

შუამდგომლობა

კიონეპრი

შუამდგომლობა „კიონეპრი“-ს 1934 წლის  
ყოველწლიურ ნომერში დაიბეჭდება სა-  
ინტერესო მოთხრობები, ლექსები  
და პიესები • • • • •

შუამდგომლობა „კიონეპრი“-ს კომპარტია.